

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო



საქართველოს
შრომის ბაზრის
ანალიზი

2020



შრომის ბაზრის
საინფორმაციო სისტემა
დაგეგმე მომსახური

სარჩევი

შესავალი	5
შრომის ბაზრის სტატისტიკა	6
ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა.....	6
უმუშევრობა	7
დასაქმება	11
შრომის ანაზღაურება.....	14
მიგრაცია	15
კერძო სექტორის როლი დასაქმების მაჩვენებლებში	16
დასაქმება სექტორულ ჭრილში	17
მრეწველობა.....	18
მშენებლობა	19
ვაჭრობა	21
სოფლის მეურნეობა.....	21
ტრანსპორტირება და დასაწყობება.....	22
უძრავი ქონება.....	24
სასტუმროები და რესტორნები.....	24
2019 წელს HR.GE-ზე გამოქვეყნებული ვაკანსიების მიმოხილვა	30
ძირითადი ჯგუფი: მომსახურებებისა და გაყიდვების სფეროებში დასაქმებული პირები	32
ძირითადი ჯგუფი: ტექნიკოსები და დამხმარე სპეციალისტები	33
ძირითადი ჯგუფი: სპეციალისტები	35
ძირითადი ჯგუფი: ოფისის დამხმარე პერსონალი	39
ძირითადი ჯგუფი: დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშახელი	41
ძირითადი ჯგუფი: ხელოსნები და მონათესავე სფეროების მუშები	41
ძირითადი ჯგუფი: სამრეწველო დანადგარებისა და მანქანების ოპერატორები და ამწყობები	43
ძირითადი ჯგუფი: მენეჯერები	44
ძირითადი ჯგუფი: სოფლის მეურნეობის, მეტყევეობისა და მეთევზეობის დარგის კვალიფიციური მუშაკები.....	46

2019 წელს შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში (WORKNET.GOV.GE) დარეგისტრირებულ სამუშაოს მაძიებელთა და გამოქვეყნებული ვაკანსიების ანალიზი.....	51
შრომის ბაზრის საკითხებზე ჩატარებული კვლევების მიმოხილვა	57
დასკვნა.....	61
რეკომენდაციები.....	63

დიაგრამა 1 ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის (სამუშაო ძალა) რაოდენობა და დონე	6
დიაგრამა 2 უმუშევრობის დონე და უმუშევართა რაოდენობა.....	7
დიაგრამა 3 უმუშევართა რაოდენობა (ათასი კაცი) და უმუშევრობის დონე (%) სქესის მიხედვით	8
დიაგრამა 4 უმუშევრობის დონე (%) ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით.....	9
დიაგრამა 5 უმუშევრობის დონე ქალაქად და სოფელად.....	9
დიაგრამა 6 უმუშევრობის დონე რეგიონების მიხედვით	10
დიაგრამა 7 დასაქმებულთა რაოდენობა და დასაქმების დონე.....	11
დიაგრამა 8 დასაქმების სტრუქტურა	11
დიაგრამა 9 ქალებისა და მამაკაცების წილი მთლიან დასაქმებაში	12
დიაგრამა 10 დასაქმებულთა რაოდენობა და წილი ეკონომიკური საქმიანობების მიხედვით 2019წ.	13
დიაგრამა 11 დასაქმებულთა რაოდენობა და წილი ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით (ISCO 88) 2019 წ.....	14
დიაგრამა 12 დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი (ლარი)	14
დიაგრამა 13 მიგრაციული სალდო (ათასი კაცი)	15
დიაგრამა 14 დასაქმება ბიზნეს სექტორში	16
დიაგრამა 15 დასაქმებულთა რაოდენობა და ერთი დასაქმებულის დამატებული ღირებულება სექტორების მიხედვით.....	17
დიაგრამა 16 დასაქმებულთა რაოდენობა მრეწველობის სექტორში (განაწილება საწარმოთა ზომების მიხედვით)	18
დიაგრამა 17 შრომის ანაზღაურება მრეწველობის სექტორში დარგების მიხედვით 2019 წ.....	19
დიაგრამა 18 მშენებლობის სექტორში დასაქმებულთა განაწილება საწარმოთა ზომების მიხედვით	20
დიაგრამა 19 შრომის ანაზღაურება მშენებლობის სექტორში (ლარი)	20
დიაგრამა 20 დასაქმებულთა რაოდენობა და საშუალო ხელფასი ვაჭრობის სექტორში	21

დიაგრამა 21 დასაქმებულთა რაოდენობა და საშუალო ხელფასი (ლარი) სოფლის მეურნეობაში	22
დიაგრამა 22 ტრანსპორტირებისა და დასაწყობების სექტორში დასაქმებულთა განაწილება საწარმოთა ზომის მიხედვით	22
დიაგრამა 23 ტრანსპორტირებისა და დასაწყობების სექტორში დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი (2019).....	23
დიაგრამა 24 უძრავი ქონების სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა და საშუალო თვიური ხელფასი (ლარი)	24
დიაგრამა 25 სასტუმროებსა და რესტორნებში დასაქმებულთა განაწილება საწარმოთა ზომის მიხედვით	25
დიაგრამა 26 სასტუმროებსა და რესტორნებში საშუალო თვიური ხელფასი (ლარი) .	25
დიაგრამა 27 2019 წელს HR.GE-ზე გამოქვეყნებული ვაკანსიები ძირითადი ჯგუფების მიხედვით	30
დიაგრამა 28 2019 და 2018 წლებში გამოცხადებული ვაკანსიები ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით	31

შესავალი

საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევას დასაქმების ზრდა და უმუშევრობის შემცირება წარმოადგენს, რაც შესაბამისად ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. უმუშევრობის შემცირებისა და დასაქმების ზრდის მიმართულებით ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკის განსახორციელებლად, მნიშვნელოვანია უმუშევრობისა და დასაქმების კომპონენტების საფუძვლიანი ანალიზი, როგორც მიწოდების, ასევე მოთხოვნის კუთხით.

წინამდებარე ანგარიში აანალიზებს ქვეყანაში დასაქმებისა და უმუშევრობის მიმართულებით არსებულ ტენდენციებს, მათ შორის სექტორულ, ასაკობრივ, გენდერულ და რეგიონულ ჭრილში. იგი შეისწავლის შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტს და ამასთან განსაზღვრავს იმ ძირითად სექტორებს, რომლებშიც განსაკუთრებით მაღალი ეკონომიკური აქტივობაა მოსალოდნელი მომდევნო წლებში, რაც თავის მხრივ, წარმოადგენს ამ სექტორებში დასაქმების ზრდის ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას. ამასთან, ანგარიში მოიცავს როგორც კერძო დასაქმების სააგენტოს (hr.ge) მონაცემთა ანალიზს, ასევე სახელმწიფო დასაქმების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში (worknet.gov.ge) რეგისტრირებული სამუშაოს მაძიებელთა და ვაკანსიების ანალიზს. ანგარიში ასევე მიმოიხილავს საქართველოს შრომის ბაზრის არსებულ კვლევებს. ანგარიშის ბოლოს წარმოდგენილია დასკვნა და რეკომენდაციები, რომლებიც მოცემულია საქართველოს შრომის ბაზრის წინაშე მდგარი გამოწვევები და სამუშაო ძალაზე მოთხოვნის ხედვა.


შრომის ბაზრის სტატისტიკა

საქართველოში დასაქმების ზრდის ძირითად წყაროს კერძო სექტორი წარმოადგენს. შესაბამისად, დასაქმების შემდგომი ზრდისთვის მნიშვნელოვანია კერძო სექტორის აქტივობისა და მაღალი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფის ხელშეწყობა. უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში უმუშევრობის დონის შემცირებას ძირითადად ქვეყნის ეკონომიკური ზრდა და გაზრდილი ეკონომიკური აქტივობით სამუშაო ძალაზე შექმნილი დამატებითი მოთხოვნა განაპირობებდა. საყურადღებოა, რომ ბოლო წლებში, ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი სხვადასხვა ფაქტორის, მათ შორის, ძირითადად საგარეო ეკონომიკური შოკების ზეგავლენის შედეგად, ჩამორჩებოდა მის პოტენციურ დონეს, რაც მიუთითებდა, რომ ბიზნეს სექტორის ზრდა გარკვეულწილად ჩამორჩებოდა პოტენციურ შესაძლებლობას.¹

ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა

უნდა აღინიშნოს, რომ სამუშაო ძალის მიწოდების თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა ბოლო წლებში შრომისუნარიანი მოსახლეობისა და აქტიურობის დონის კუთხით არსებული დინამიკა. კერძოდ, დაბალი ბუნებრივი მატებისა და გაზრდილი მიგრაციული ნაკადის შედეგად, ბოლო 10 წლის განმავლობაში, კლებადობით ხასიათდება შრომისუნარიანი მოსახლეობა. 2019 წელს ეკონომიკურად აქტიურმა მოსახლეობამ, შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის (15+ წლის მოსახლეობა) 62.9 პროცენტი შეადგინა (1,911.2 ათასი კაცი), რაც 2018 წელთან შედარებით 1.5%-ით ნაკლებია. აღსანიშნავია, რომ სამუშაო ძალის ზრდა ბოლოს 2015 წელს დაფიქსირდა (წინა წელთან შედარებით +1.7%).

დიაგრამა 1 ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის (სამუშაო ძალა) რაოდენობა და დონე



¹2020 წლის პანდემიამ, რომელიც მნიშვნელოვანი საფრთხე და რთული გამოწვევა აღმოჩნდა გლობალური ეკონომიკისთვის, ასევე მნიშვნელოვნად შეაფერხა საქართველოს ეკონომიკური განვითარების ბოლო წლების დადებითი ტენდენციები, რაც თავის მხრივ დასაქმებაზეც აისახება.


უმუშევრობა

2019 წელს უმუშევრობის დონემ ქვეყნის მასშტაბით 11.6% შეადგინა, რაც 2001 წლის შემდეგ ყველაზე დაბალი მაჩვენებელია.

2019 წელს უმუშევრობის დონე წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით 1.1 პროცენტული პუნქტით შემცირდა და მთლიანობაში უმუშევართა რაოდენობის 10%-იანი კლება დაფიქსირდა.


2019 წელსაც, წინა წლების მსგავსად უმუშევრობის მაჩვენებლები ქვეყანაში შემცირების ტენდენციით ხასიათდება. მცირდება როგორც უმუშევართა რაოდენობა, ასევე მათი წილი სამუშაო ძალაში. უმუშევრობის მაჩვენებლის ზრდა უკანასკნელად 2012 წელს დაფიქსირდა (წინა წელთან შედარებით +0.1%).

დიაგრამა 2 უმუშევრობის დონე და უმუშევართა რაოდენობა



უმუშევრობის მაჩვენებლები გენდერულ ჯგუფებში მიგვანიშნებს მამაკაცებში უმუშევრობის მაღალ მაჩვენებელზე. 2019 წელს მამაკაცებში უმუშევრობის დონემ 12.8% შეადგინა, ხოლო ქალებში - 10.1%. როგორც მამაკაცებში, ასევე ქალებში წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით უმუშევრობის დონე 1,1 პროცენტული პუნქტით შემცირდა.

დიაგრამა 3 უმუშევართა რაოდენობა (ათასი კაცი) და უმუშევრობის დონე (%) სქესის მიხედვით




მართალია ბოლო წლებში უმუშევრობის დონე კლების ტენდენციით ხასიათდება, თუმცა უმუშევრობა ახალგაზრდებში კვლავ ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება.

უმუშევრობის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევას, ახალგაზრდებში უმუშევრობის მაღალი დონე წარმოადგენს. უკანასკნელი წლების სტატისტიკის მიხედვით, უმუშევრობის დონე ყველაზე მაღალი 15-19 და 20-24 ასაკობრივ ჯგუფებშია.

აღნიშნული შეიძლება აიხსნას იმ გარემოებით, რომ საქართველოში ახალგაზრდები უმეტესწილად ეუფლებიან უმაღლეს განათლებას, ხოლო სწავლის დასრულების შემდეგ აწყდებიან შემდეგი ორი სახის პრობლემას: 1) შრომის ბაზარზე არ არის მოთხოვნა მათ მიერ დაუფლებულ პროფესიებზე ან/და 2) მათი კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება ვერ აკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს. ამასთან, ამ კატეგორიაში გასათვალისწინებელია ფრიქციული უმუშევრობის წილიც, რადგან ახალგაზრდებს სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით მეტი დრო სჭირდებათ სასურველი სამუშაოს მოსაძიებლად.

უმუშევრობის დონე ტრადიციულად ყველაზე დაბალია 65+ ასაკობრივ ჯგუფში. ამის მიზეზია ის, რომ 65+ საპენსიო ასაკია და მოსახლეობის დიდი ნაწილი არ არის დასაქმებული, არ ეძებს სამუშაოს და შესაბამისად, არააქტიური მოსახლეობის კატეგორიას მიეკუთვნება.


დიაგრამა 4 უმუშევრობის დონე (%) ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით



2019 წელს გასული წლის მსგავსად, უმუშევრობის დონე ყველაზე მაღალი იყო 20-24 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში - 30.5%, რაც წინა წლის მაჩვენებელს მცირედით ჩამორჩება (-0.3%). შემდეგ მოდის 15-19 წლამდე ასაკობრივი ჯგუფი - 26.6%. აღსანიშნავია, რომ ეს უკანასკნელი წინა წლის მაჩვენებელზე 3.1%-ით მეტია. ასევე 0.5%-ით გაიზარდა უმუშევრობის დონე 50-54 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში. 2019 წელს უმუშევრობის დონე შემცირდა ყველა სხვა ასაკობრივი ჯგუფის შემთხვევაში.

უმუშევრობის დონე ქალაქად ტრადიციულად საგრძნობლად მაღალია სოფელთან შედარებით. კერძოდ, 2019 წელს ქალაქად უმუშევრობის დონემ 17.4% შეადგინა, ხოლო სოფლად 5.3%. ამასთან, საყურადღებოა, რომ ქალაქად უმუშევრობის დონე, წინა წელთან შედარებით 1.9 პროცენტული პუნქტით ნაკლებია. ამავე პერიოდში სოფლად უმუშევრობა 0.3 პროცენტული პუნქტით შემცირდა. ქალაქ-სოფელს შორის უმუშევრობის დონეებს შორის არსებული სხვაობა უკავშირდება სოფლად აქტიურობისა და დასაქმების მაღალ დონეს, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სოფლად დასაქმებაში დიდი ხვედრითი წილი შინამეურნეობაში დასაქმებაზე მოდის.

დიაგრამა 5 უმუშევრობის დონე ქალაქად და სოფელად




რეგიონების მიხედვით უმუშევრობა და სამუშაო ძალის მობილობა მეტყველებს ქვეყნის მასშტაბით ეკონომიკის თანაბარზომიერად განვითარების აუცილებლობაზე.

საკმაოდ დიდია სხვაობა რეგიონების მიხედვით მთლიანი შიდა პროდუქტისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განაწილების მხრივ, რაც აისახება სამუშაო ადგილების შექმნაზე, დასაქმების შესაძლებლობებსა და შრომით მიგრაციაზე. 2019 წელს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 69% (912.2 მილიონი აშშ დოლარი) თბილისზე მოდის. ასევე, ქვეყნის მასშტაბით მთლიანი დამატებული ღირებულების ნახევარი თბილისში იქმნება. შესაბამისად, რეგიონების მიხედვით ეკონომიკური აქტივობისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების არათანაბარზომიერი განაწილება გავლენას ახდენს შიდა მიგრაციაზე, სამუშაო ძალის მობილობა დედაქალაქისკენ არის მიმართული, რაც თავის მხრივ ზრდის თბილისში უმუშევრობის დონეს. 2019 წელს, გასული წლების მსგავსად უმუშევრობის დონე ყველაზე მაღალი თბილისში იყო და 17.7% შეადგინა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2019 წელს 2018 წელთან შედარებით დედაქალაქში უმუშევრობის დონე 1.1 პროცენტული პუნქტით შემცირდა.

აღსანიშნავია, რომ 2019 წელს უმუშევრობის დონე, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, გაზრდილია მხოლოდ კახეთსა და გურიაში, შესაბამისად 0.1% და 0.7% პროცენტული პუნქტით.


დიაგრამა 6 უმუშევრობის დონე რეგიონების მიხედვით



დასაქმება

2019 წელს დასაქმების დონემ 55.7% (1,690.2 ათასი ადამიანი) შეადგინა, რაც 0.1 პროცენტული პუნქტით ნაკლებია გასული წლის მაჩვენებელთან (1,694.2 ათასი დასაქმებული) შედარებით.


დიაგრამა 7 დასაქმებულთა რაოდენობა და დასაქმების დონე



აღსანიშნავია, რომ 2019 წლის მდგომარეობით დასაქმებულთა მხოლოდ 18% მოდის სახელმწიფო სექტორზე, დასაქმებულთა ძირითადი წილი (82%) კი არასახელმწიფო სექტორშია დასაქმებული.

წლების განმავლობაში დასაქმების მთავარ გამოწვევას მთლიან დასაქმებაში თვითდასაქმებულთა მაღალი წილი წარმოადგენს. საყურადღებოა, რომ 2018 წელს დაქირავებით დასაქმებულთა ხვედრითმა წილმა გადააჭარბა თვითდასაქმებულებისას. აღნიშნული ტენდენცია გაგრძელდა 2019 წელსაც, დაქირავებით დასაქმებულთა წილმა 50.3% შეადგინა, ხოლო თვითდასაქმებულთა - 49.7%.


დიაგრამა 8 დასაქმების სტრუქტურა



რაც შეეხება დასაქმების მაჩვენებლებს **გენდერულ ჭრილში**, 2019 წელს მთლიან დასაქმებაში მამაკაცების წილმა 52.9% შეადგინა, ხოლო ქალების წილმა - 47.1%. აღსანიშნავია, რომ წინა წელთან შედარებით, მამაკაცების წილი გაიზარდა 0.3%-ით, ხოლო ქალების შემცირდა 0.3%-ით.

აქვე, საყურადღებოა, რომ 2019 და 2018 წლებში მამაკაცებში დაქირავებით დასაქმებულთა წილი აღემატებოდა თვითდასაქმებულთა წილს, (დაქირავებულთა წილი 2019 – 54%, 2018 – 53%;), ხოლო ქალების შემთხვევაში კვლავ თვითდასაქმებულები დომინირებენ და 2019 წელს თვითდასაქმებული ქალების წილმა 52.7% შეადგინა.

დიაგრამა 9 ქალებისა და მამაკაცების წილი მთლიან დასაქმებაში




არაერთგვაროვანია დასაქმების სტრუქტურა **ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების** მიხედვით, სადაც წამყვანი როლი სოფლის მეურნეობას უკავია. 2019 წელს სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა ხვედრითმა წილმა 38.1%-ს (644.6 ათასი ადამიანი) შეადგინა. სოფლის მეურნეობა თავის მხრივ გამოირჩევა თვითდასაქმებულების მაღალი ხვედრითი წილით, რაც უკავშირდება საკუთარ შინამეურნეობაში შრომას. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რაოდენობა შემცირების ტენდენციით ხასიათდება (2019 – 2%-ით; 2018 – 10.4%-ით;), ამას არ მოუხდენია ეკონომიკური სექტორების მიხედვით დასაქმების სტრუქტურაში ძირეული ცვლილება.

სოფლის მეურნეობის სექტორის გარდა, დასაქმების ორნიშნა წილით ხასიათდება საბითუმო და საცალო ვაჭრობის სექტორი - 11.7%. მრეწველობის სექტორის წილი 8.2%-ია, შემდეგ მოდის მშენებლობა - 6%, ტრანსპორტი და დასაწყობება - 4.9%.

2019 წელს წინა წელთან შედარებით, დასაქმებულთა რაოდენობა ყველაზე მეტად გაიზარდა სასტუმროებისა და რესტორნების სექტორში (11%). ასევე ზრდა

დაფიქსირდა: საცალო და საბითუმო ვაჭრობის - 6%; ტრანსპორტისა და დასაწყობების - 5%; მშენებლობის - 3% სექტორებში.


დიაგრამა 10 დასაქმებულთა რაოდენობა და წილი ეკონომიკური საქმიანობების მიხედვით 2019წ.



დასაქმების სტრუქტურა პროფესიული ჯგუფებისა და ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების მიხედვით თანხვედრაშია ერთმანეთთან. პროფესიული ჯგუფების მიხედვით დასაქმებულების კუთხითაც ყველაზე ფართოდ არიან წარმოდგენილები სოფლის მეურნეობისა და მეთევზეობის დარგის კვალიფიციური მუშაკები (37.2%).

2019 წელს წინა წელთან შედარებით, ყველაზე მეტად გაიზარდა დასაქმება მენეჯერების ძირითად პროფესიულ ჯგუფში - 9.1%; შემდეგ მოდიან სპეციალისტები - 2.8%-ით; და მომსახურებისა და გაყიდვების სფეროში დასაქმებული პირები - 2%-ით.


დიაგრამა 11 დასაქმებულთა რაოდენობა და წილი ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით (ISCO 88) 2019 წ



შრომის ანაზღაურება

2019 წელს 2018 წელთან შედარებით საქართველოში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი 5.7 პროცენტით (61.2 ლარით) გაიზარდა და 1 129.5 ლარი შეადგინა.

დიაგრამა 12 დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი (ლარი)



2019 წელს საშუალო თვიური ხელფასი გენდერულ ჭრილში შემდეგნაირად განაწილდა: ქალების - 869.1 ლარი, ხოლო კაცი - 1 361.8 ლარი. ხელფასების წლიურმა ზრდამ ქალებისა და კაცებისათვის შესაბამისად 5.7% და 6.3% შეადგინა. საქმიანობის სახეების მიხედვით კაცების საშუალო თვიური ხელფასი თითქმის ყველა სექტორში აღემატებოდა ქალების საშუალო თვიურ ხელფასს.

2019 წელს, წინა წელთან შედარებით ხელფასები თითქმის ყველა სექტორში გაიზარდა. ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების მიხედვით მაღალი ხელფასი შემდეგ დარგებში დაფიქსირდა:


- ⇒ საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობა - 2 030.2 ლარი (წინა წელთან შედარებით შემცირდა 9.2%-ით);
- ⇒ პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები - 1 896.0 ლარი (წინა წელთან შედარებით გაიზარდა 10.7%-ით);
- ⇒ მშენებლობა - 1 631.1 ლარი (წინა წელთან შედარებით გაიზარდა 5.1%-ით).

მიგრაცია

2006 წლიდან მოყოლებული საგრძნობი ცვალებადობა შეინიშნება მიგრაციულ სალდოსთან დაკავშირებით, რაც წარმოაჩენს არაერთგვაროვან სურათს.

2019 წელს, ემიგრანტების რიცხოვნობამ 105,1 ათასი ადამიანი შეადგინა, რაც 2018 წლის მაჩვენებელზე 6.2%-ით მეტია. იმავე პერიოდში, იმიგრანტების რიცხოვნობა წინა წელთან შედარებით 10%-ით გაიზარდა და 96.8 ათასი კაცი შეადგინა. შედეგად, 2019 წელს მიგრაციულმა სალდომ (სხვაობა იმიგრანტებისა და ემიგრანტების რიცხოვნობას შორის) უარყოფითი მაჩვენებელი - 8,2 ათასი კაცი შეადგინა. აქვე აღსანიშნავია, რომ მიგრაციული სალდო შემცირებულია და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 24%-ით ჩამორჩება.

დიაგრამა 13 მიგრაციული სალდო (ათასი კაცი)




კერძო სექტორის როლი დასაქმების მაჩვენებლებში

კერძო სექტორის მიერ ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და დასაქმების ზრდა ერთერთ მნიშვნელოვან გამოწვევას და შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს. ამასთან, ეკონომიკის განვითარებისთვის უცვლელელია განხორციელდეს შრომის ბაზრის სტრუქტურის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელება. ასევე, მნიშვნელოვანია შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნა-მიწოდებას შორის არსებული შეუსაბამობის შემცირების მიზნით შესაბამისი აქტივობების განხორციელება.

2019 წელს ბიზნეს სექტორში დასაქმებული ადამიანების რაოდენობამ 756.9 ათასი ადამიანი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 3.1%-ით მეტია. აღსანიშნავია, რომ დასაქმებულთა რაოდენობა ბიზნეს სექტორში 2009 წლიდან მოყოლებული ზრდადი ტენდენციით ხასიათდება.

დიაგრამა 14 დასაქმება ბიზნეს სექტორში



ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა ძირითადი ნაწილი თბილისშია თავმოყრილი. 2019 წელს დასაქმებულთა 61% სწორედ დედაქალაქზე მოდის, შემდეგ მოდის აჭარა - 10% და იმერეთი - 8%. რაც შეეხება, დასაქმებულთა განაწილებას საწარმოთა ზომების მიხედვით: 45% - დასაქმებულია მცირე ზომის საწარმოებში, 35% - მსხვილ, ხოლო 20% - საშუალო ზომის საწარმოებში.


2019 წელს ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა საშუალო თვიურმა ანაზღაურებამ 1,161.7 ლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელს 5.5%-ით აღემატება.

დასაქმება სექტორულ ჭრილში

ბიზნეს სექტორში დასაქმების ყველაზე მაღალი მაჩვენებლით საბითუმო და საცალო ვაჭრობის სექტორი გამოირჩევა (210 ათასი დასაქმებული), შემდეგ მოდის მრეწველობისა (130 ათასი) და ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქმიანობები (74.9 ათასი).

ეკონომიკის სექტორული ანალიზი ცხადყოფს, რომ ქვეყნის ეკონომიკის მთლიანი პროდუქტიულობის ზრდის მიუხედავად, მნიშვნელოვნად დაბალია პროდუქტიულობის დონე გარკვეულ სექტორებში.

დიაგრამა 15 დასაქმებულთა რაოდენობა და ერთი დასაქმებულის დამატებული ღირებულება სექტორების მიხედვით



ერთ დასაქმებულზე არსებული დამატებული ღირებულების მიხედვით გამორჩეულია უძრავი ქონების სექტორი - 53.7 ათასი ლარი. მას მოსდევს ხელოვნება, გართობა და დასვენების ს (52.7 ათასი ლარი) და მშენებლობის სექტორები (50.9 ათასი ლარი).

გასულ წლებში ყველაზე დაბალი პროდუქტიულობით გამოირჩეოდა სოფლის მეურნეობის სექტორი. აღსანიშნავია, რომ 2019 წელს აღნიშნული მაჩვენებელი მკვეთრად გაზრდილია. კერძოდ ერთ დასაქმებულზე არსებულმა დამატებულმა


ღირებულებამ სოფლის მეურნეობის სექტორში 18.1 ათასი ლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელს 40.2%-ით აღემატება.

2019 წელს პროდუქტიულობის ყველაზე დაბალი მაჩვენებლით განათლების სექტორი გამოირჩევა - 13.9 ათასი ლარი.

მრეწველობა

2019 წელს მრეწველობის სექტორში დასაქმებულთა რაოდენობამ 129,970 ადამიანი შეადგინა, რაც მთლიანი ბიზნეს სექტორის დასაქმების 17.2%-ს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ 2014 წლის შემდეგ პირველად მრეწველობის სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა შემცირდა. კლებამ 0.8% შეადგინა.


დიაგრამა 16 დასაქმებულთა რაოდენობა მრეწველობის სექტორში (განაწილება საწარმოთა ზომების მიხედვით)



2019 წლის მონაცემების მიხედვით, მრეწველობის სექტორში დასაქმებულთაგან 49.4% მსხვილი ზომის საწარმოებზე მოდის, 20.9% - საშუალო, ხოლო 29.6% - მცირე ზომის საწარმოებზე. რაც შეეხება დასაქმებულთა განაწილებას რეგიონების მიხედვით: 46.1% - თბილისზე მოდის, მას მოჰყვება იმერეთი - 12.8% და ქვემო ქართლი - 11.8%.

მრეწველობის სექტორში დასაქმებულთა განაწილება ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა: უმრავლესობა დამამუშავებელი მრეწველობის სექტორშია დასაქმებული - 70.4%, შემდეგ მოდის ენერგეტიკა - 11.6%, წყალმომარაგება - 11.2% დასამთმომპოვებითი მრეწველობა 6.8%.

დიაგრამა 17 შრომის ანაზღაურება მრეწველობის სექტორში დარგების მიხედვით 2019 წ.



მრეწველობის სექტორში დასაქმებულთა საშუალო თვიურმა ანაზღაურებამ 2019 წელს 1,121.6 ლარი შეადგინა, რაც მთლიანი ბიზნეს სექტორის საშუალო ანაზღაურებას 3.5%-ით ჩამორჩება.


დარგების მიხედვით ყველაზე მაღალი ანაზღაურება ენერგეტიკაშია - 1,560.1 ლარი; შემდეგ მოდის სამთომოპოვებითი მრეწველობა 1,385.2 ლარი; დამამუშავებელი მრეწველობა 1,038.5 ლარი, ბოლოს კი წყალმომარაგება 1,007.4 ლარი.

მშენებლობა

2019 წელს მშენებლობის სექტორში დასაქმებული იყო 69,956 ადამიანი, რაც ბიზნეს სექტორში დასაქმების 9.2%-ია.


2019 წელს წინა წელთან შედარებით მშენებლობის სექტორში 5.7%-ით შემცირდა დასაქმებულთა რაოდენობა. ბოლო წლებში მშენებლობის სექტორში ყველაზე მეტი ადამიანი მცირე ზომის საწარმოებშია დასაქმებული. აღნიშნული ტენდენცია შენარჩუნდა 2019 წელსაც: 47.9% მცირე ზომის საწარმოებში მუშაობს, 31.5% - საშუალო, ხოლო 20.5% - მსხვილი ზომის საწარმოებში იყო დასაქმებული.

დიაგრამა 18 მშენებლობის სექტორში დასაქმებულთა განაწილება საწარმოთა ზომების მიხედვით



მშენებლობის სექტორში საშუალო თვიური ხელფასი ერთ-ერთი ყველაზე მაღალია. 2019 წელს მშენებლობის სექტორში დასაქმებულთა საშუალო თვიურმა ხელფასმა 1,641.8 ლარი შეადგინა, რაც ბიზნეს სექტორის საშუალო თვიური ხელფასის მაჩვენებელს 41.3%-ით აღემატება.

დიაგრამა 19 შრომის ანაზღაურება მშენებლობის სექტორში (ლარი)




აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ 2013 წლიდან მოყოლებული, მშენებლობის სექტორში საშუალო თვიური ხელფასი მზარდი ტენდენციით ხასიათდება.

ვაჭრობა

ბიზნეს სექტორის დასაქმებაში ყველაზე მაღალი წილით საცალო და საბითუმო ვაჭრობის სექტორი გამოირჩევა. 2019 წლის მონაცემებით, ვაჭრობის სექტორში დასაქმებულთა რაოდენობამ 209,953 ათასი ადამიანი შეადგინა (7%-ით მეტი წინა წელთან შედარებით), რაც კერძო სექტორში დასაქმებულთა 27.7%-ია.

დიაგრამა 20 დასაქმებულთა რაოდენობა და საშუალო ხელფასი ვაჭრობის სექტორში




ბოლო წლებში ვაჭრობის სექტორში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურება მუდმივად მზარდი ტენდენციით გამოირჩევა. 2019 წელს, წინა წელთან შედარებით აღნიშნული მაჩვენებელი 2.1%-ით გაიზარდა და 970.8 ლარი შეადგინა, თუმცა მაინც ჩამორჩება ბიზნეს სექტორში არსებულ საშუალო მაჩვენებელს (16.4%-ით ნაკლებია).

სოფლის მეურნეობა

ბიზნეს სექტორის დასაქმებაში სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის წილი ყველაზე მცირეა. 2019 წელს დასაქმებული იყო 12,753 ადამიანი, რაც ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა 1.7%-ია.

2019 წელს გასულ წელთან შედარებით სოფლის მეურნეობის სექტორში 3.3% გაიზარდა დასაქმებულთა რაოდენობა.

დიაგრამა 21 დასაქმებულთა რაოდენობა და საშუალო ხელფასი (ლარი) სოფლის მეურნეობაში




ბიზნეს სექტორის სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი ყველაზე დაბალია. 2019 წელს საშუალო თვიურმა ხელფასმა 701.8 ლარი შეადგინა, რაც ბიზნეს სექტორის საშუალო თვიური ხელფასის მაჩვენებელზე 40%-ით ნაკლებია.

თუმცა, აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა საშუალო ხელფასი მზარდი ტენდენციით ხასიათდება.

ტრანსპორტირება და დასაწყობება

2019 წელს ტრანსპორტირებისა და დასაწყობების სექტორში დასაქმებულ პირთა რიცხოვნობამ 61,163 ადამიანი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელს 5.2%-ით აღემატება. აღნიშნულ სექტორში დასაქმებულთა წილი ბიზნეს სექტორში დასაქმების 8.1%-ია.

დიაგრამა 22 ტრანსპორტირებისა და დასაწყობების სექტორში დასაქმებულთა განაწილება საწარმოთა ზომის მიხედვით



2019 წელს ტრანსპორტირებისა და დასაწყობების სექტორში დასაქმებულთა 49.3% მუშაობდა მსხვილი ზომის საწარმოებში, 41% - მცირე ზომის, ხოლო 9.7% - საშუალო ზომის საწარმოებში -.


დასაქმებულთა განაწილება რეგიონების მიხედვით ასე გამოიყურება: 59.8% - თბილისი, 13.3% - აჭარა -, 13% - სამეგრელო ზემო სვანეთი. სხვა დანარჩენი რეგიონების ცალკე აღებული წილი არ აღემატება 4%-ს.

ტრანსპორტირებისა და დასაწყობების სექტორში დასაქმებულთა ყველაზე მაღალი წილი სახმელეთო ტრანსპორტზე მოდის (61.9%). მას მოჰყვება დასაწყობება და დამხმარე სატრანსპორტო საქმიანობები (30%), საფოსტო და საკურიერო მომსახურება (6.4%). წყლის ტრანსპორტის წილი 1%-ზე დაბალია.

ტრანსპორტირებისა და დასაწყობების სექტორში დასაქმებულთა საშუალო თვიური ანაზღაურება 1,384.7 ლარია, რაც ზოგადად ბიზნეს სექტორის საშუალო თვიური ხელფასის მაჩვენებელზე 19.2%-ით მეტია.

აღსანიშნავია, რომ 2019 წელს წინა წელთან შედარებით სექტორში დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი 6.5%-ით გაიზარდა.

დიაგრამა 23 ტრანსპორტირებისა და დასაწყობების სექტორში დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი (2019)




საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი საშუალო თვიური ხელფასი სწორედ ტრანსპორტირებისა და დასაწყობების სფეროშია, კონკრეტულად საჰაერო ტრანსპორტის დარგში, რამაც 2019 წელს 3,298.2 ლარი შეადგინა.

უძრავი ქონება

2019 წელს უძრავი ქონების სექტორში დასაქმებულთა რაოდენობამ 19,277 ადამიანი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 4%-ით მეტია. მისი წილი ბიზნეს სექტორში დასაქმების 2.5%-ია. უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები ქვეყანაში მზარდი ტენდენციით ხასიათდება, რაც ასევე აისახება სექტორში დასაქმების ზრდაზე.

დიაგრამა 24 უძრავი ქონების სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა და საშუალო თვიური ხელფასი (ლარი)




2019 წელს უძრავი ქონების სექტორში დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი იყო 1,196,7 ლარი, რაც წინა წლის მაჩვენებელს 8%-ით აღემატება, ხოლო ბიზნეს სექტორის საშუალო თვიური ხელფასის მაჩვენებელს კი 3%-ით ჩამორჩდება.

სასტუმროები და რესტორნები

ტურიზმი საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე პრიორიტეტული დარგია. 2019 წელს სასტუმროებსა და რესტორნებში დასაქმებულთა რაოდენობამ 48,634 ადამიანი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელს 7%-ით აღემატება. ამავე პერიოდში სასტუმროებსა და რესტორნებში დასაქმებული იყო ბიზნეს სექტორში დასაქმების 6.4%.


სასტუმროებისა და რესტორნების სექტორში დასაქმებულთა უდიდესი წილი მცირე ზომის საწარმოებში არიან დასაქმებულნი - 60.2%, შემდეგ მოდის საშუალო ზომის საწარმოები - 20.7% და ბოლო მსხვილი ზომის საწარმოები - 19.1%.

დიაგრამა 25 სასტუმროებსა და რესტორნებში დასაქმებულთა განაწილება საწარმოთა ზომის მიხედვით



აღნიშნულ სექტორში დასაქმებულთა განაწილება რეგიონების მიხედვით გვიჩვენებს, რომ ყველაზე მეტი აქტივობა ძირითადად ორ რეგიონზე მოდის. დასაქმების ყველაზე მაღალი წილით გამოირჩევა თბილისი (57%), მას მოჰყვება აჭარა - 17%, ხოლო სხვა რეგიონების ცალკე აღებული ხვედრითი წილი არ აღემატება 5%-ს.

დიაგრამა 26 სასტუმროებსა და რესტორნებში საშუალო თვიური ხელფასი (ლარი)



2019 წელს სასტუმროებსა და რესტორნებში დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი ბიზნეს სექტორის საშუალო თვიური ხელფასის მაჩვენებელს 25.6%-ით ჩამორჩა და შეადგინა 853.6 ლარი. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ სექტორში ხელფასები

მზარდი ტენდენციით ხასიათდება. 2019 წელს წინა წელთან შედარებით საშუალო თვიური ხელფასი 6%-ით გაიზარდა.

სასტუმროებში საშუალო თვიური ხელფასი მნიშვნელოვნად აღემატება რესტორნებში საშუალო თვიურ ხელფასს და 2019 წელს აღნიშნულ ხელფასებს შორის სხვაობა 55%-ს შეადგენდა.

საყურადღებოა, რომ დასაქმების მნიშვნელოვანი შესაძლებლობებია მოსალოდნელი მთელი რიგი სექტორების მიხედვით. კერძოდ:

- **ენერგეტიკის სექტორში** საქართველოს ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა ადგილობრივი ენერგო რესურსების ათვისება და იმპორტირებულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულების ეტაპობრივი შემცირებაა. ენერგეტიკული პოლიტიკის ეფექტიანად წარმართვის მიზნით იგეგმება არაერთი მნიშვნელოვანი და მასშტაბური პროექტის განხორციელება. განვითარდება ინფრასტრუქტურა გაზისა და ელექტროენერგიის უსაფრთხო და სტაბილური გადამცემი და გამანაწილებელი სისტემის შესაქმნელად.

საყურადღებოა, რომ ამ ეტაპზე 121 სხვადასხვა სიმძლავრისა და ტიპის ენერგეტიკული პროექტია დღის წესრიგში, რომელთა მშენებლობაც დაგეგმილია 2028 წლამდე. აღნიშნული პროექტების ჯამური დადგმული სიმძლავრე 2100 მეგავატს აღემატება, ხოლო საინვესტიციო ღირებულება კი 9,2 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს. ამასთან, უნდა აღინიშნოს 2020 წელს, 433 მეგავატი სიმძლავრის, ნამახვანის ჰესების კასკადის მშენებლობის დაწყება, რომლის ჯამური ინვესტიცია 800 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს.

გაზომარაგების გაუმჯობესების მიზნით, დაიწყება 400 მლნ. კუბური მეტრის მოცულობის გაზსაცავის პროექტის განხორციელება. ასევე, იგეგმება გაზომარგებაზე წვდომის გაუმჯობესება.

ცხადია, ენერგეტიკული პროექტების მშენებლობა ხელს შეუწყობს რეგიონებში ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, დასაქმებას და საბოლოო ჯამში კი ქვეყნის ენერგო უსაფრთხოების და დამოუკიდებლობის გარანტი იქნება.

საყურადღებოა, რომ გაგრძელდება მუშაობა განახლებადი ენერგიის ათვისების კუთხით და განხორციელდება ენერგოეფექტური ღონისძიებები სხვადასხვა მიმართულებით. ამასთან, ამ მიმართულებით 2020 წლის მაისში მიღებული ახალი საკანონმდებლო აქტების (“ენერგოეფექტურობის შესახებ” და „შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ” საქართველოს კანონები)

მოთხოვნებიდან გამომდინარე, საყურადღებოა, რომ ერთიდან ორ წლამდე პერიოდში გაჩნდება მოთხოვნა ისეთ პროფესიებზე, როგორიცაა:

- ✚ ენერგომენეჯერი/ ენერგომენეჯმენტი განმახორციელებელი პირი (ფიზიკური ან იურიდიული პირი);
- ✚ ენერგომომსახურების მიმწოდებელი (საბოლოო მომხმარებლისთვის ან ენერგომომსახურების მიმღების საკუთრებაში, მფლობელობაში ან სარგებლობაში არსებული ობიექტისთვის ენერგომომსახურების ან ენერგოეფექტურობის გასაუმჯობესებელი სხვა ღონისძიებების მიმწოდებელი ფიზიკური ან იურიდიული პირი);
- ✚ სერტიფიცირებული ენერგოაუდიტორი (ფიზიკური ან იურიდიული პირი), რომელსაც აკრედიტირებული ორგანო მიანიჭებს სერტიფიკატს როგორც მრეწველობის სექტორში ასევე, შენობების სექტორში;
- ✚ სპეციალისტები აღრიცხვის ჭკვიანი სისტემის დანერგვისთვის;
- ✚ შენობების ენერგოეფექტურობს სერტიფიცირების განმახორციელებელი პირი;
- ✚ შენობაში გათბობის ან/და გაგრილების და ჰაერის კონდიცირების სისტემების ინსპექტორი (სერტიფიცირებული დამოუკიდებელი ექსპერტი);
- ✚ პირი რომელიც კომპეტენტური იქნება ენერგოეფექტურობის მოთხოვნების მიხედვით შენობების საინჟინრო-ტექნიკური უზრუნველყოფის სისტემების სწორი შერჩევის, მონტაჟის, რეგულირებისა და მართვის საკითხებში;
- ✚ მონიტორინგის განმახორციელებელი პირები:
 - ✓ დამოუკიდებელი ექსპერტისა და ენერგოაუდიტორის საქმიანობის მონიტორინგის განმახორციელებლები;
 - ✓ ენერგოდანაზოგების მონიტორინგისა და ვერფიკაციის განმახორციელებლები;

შესაბამისად, არსებული ტენდენციები და მოლოდინები აღნიშნულ სექტორში აჩენს დასაქმების უდიდეს პერსპექტივას;

- საქართველოს გააჩნია დიდი პოტენციალი ტრანსპორტისა და ლოგისტიკის სექტორის განვითარების მიმართულებით. მიმდინარეობს და იგეგმება რიგი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება (როგორც საჯარო ისე კერძო ინვესტიციებით), რაც ქვეყნის სატრანსპორტო შესაძლებლობების გაძლიერებასთან ერთად, ხელს შეუწყობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას.

საყურადღებოა, ქუთაისის და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტების გაფართოების მიმდინარე სამუშაოები მომავალში მზარდი მგზავრთნაკადების მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით. პრიორიტეტულ საკითხს წარმოადგენს როგორც არსებული, ისე ახალი სანავსადგურე

ინფრასტრუქტურის განვითარება. ამ მხრივ, აღსანიშნავია ანაკლიის პროექტი და ფოთის ნავსადგურის გაფართოება. გარდა ამისა, „პეის ჯგუფი“ ახორციელებს ფოთის ნავსადგურში ახალი მულტიფუნქციური საზღვაო ტერმინალის მშენებლობას. იგეგმება უფრო აქტიური პოლიტიკის გატარება ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის და სერვისების განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით.

ამასთან, ტრანსპორტის სფეროში მიმდინარე და დაგეგმილი რეფორმები (ასოცირების ხელშეკრულებით და სხვა საერთაშორისო შეთანხმებებით ნაკისრი ვალდებულებების გათვალისწინებით) დარგის განვითარების ხელშეწყობისა და მისი ეფექტურობის გაზრდის პარალელურად, უზრუნველყოფს სექტორში სამუშაო ადგილების გენერირების ახალ შესაძლებლობებს.


- ასევე, პრიორიტეტული საინვესტიციო სექტორია დამამუშავებელი მრეწველობა ისეთი სფეროებით, როგორიცაა ტანსაცმლის, ფეხსაცმლის და ტყავის წარმოება, ავეჯის წარმოება, ავტო და საჰაერო სატრანსპორტო საშუალებების წარმოება. აღნიშნული სფეროების განვითარებისა და შესაბამისად ახალი სამუშაო ადგილების შექმნა თავის მხრივ დადებით გავლენას იქონიებს დასაქმების ზრდაზე.
- დასაქმების შესაძლებლობების კუთხით, საყურადღებოა **პროფესიული ბიზნეს სერვისების (BPO) სექტორი**, რომელშიც საქართველოში ბოლო წლების მანძილზე დასაქმებულები წლიურად, საშუალოდ 1000-1200 ადამიანით იზრდება. საყურადღებოა, რომ ამ მიმართულებით აქტიური მოლაპარაკებები საბოლოო ეტაპზე რამდენიმე საერთაშორისო კომპანიასთან, რომელთა პროექტებისთვის საჭიროა თითოეულ პროექტში 200-500 ადამიანი. ბიზნეს სერვისების ცენტრების განვითარების პოტენციალი აქვს რამდენიმე ქალაქს: თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, თელავი, ზუგდიდი.
BPO-ს სამუშაო ძალას სჭირდება უცხო ენების ცოდნა და მარტივი კომპიუტერული უნარ-ჩვევები. **სამუშაო/პროფესია - Call center-ის** და სხვა ონლაინ სერვისების („ჩეთი“, ელ. ფოსტა) ოპერატორი. პრიორიტეტია გერმანული ენა, თუმცა ასევე მოთხოვნაა ინგლისურ, ფრანგულ, ესპანურ და იტალიურ ენებზე. ინგლისურის მცოდნე კადრების ადვილად მოძიებისგან განსხვავებით, რომელზეც მოდის დასაქმებულთა უმეტესობა, სხვა ენების მცოდნე კადრების მოძიება პრობლემატურია.
- საყურადღებოა ასევე, მსოფლიო მასშტაბით, განსაკუთრებით მზარდი სექტორია **ელექტრო და ელექტრონული პროდუქტები და მათი ნაწილები** (საყოფაცხოვრებო და სამედიცინო ტექნიკა და მათი ნაწილები, ნახევარგამტარები, ტელეფონის, კომპიუტერის და სხვა მსგავსი პროდუქციის ნაწილები). დასავლური კომპანიების ნაწილი, რომლებსაც ჩინეთში ქონდა საწარმოები, დივერსიფიცირების მიზნით ახალ ქვეყნებს ეძებენ ე.წ. „Strategy China +1“-ის ფარგლებში. უნდა აღინიშნოს, რომ

საქართველოში სექტორმა ახლახანს დაიწყო განვითარება და მხოლოდ რამდენიმე საწარმო არსებობს, თუმცა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიმართულებით პრიორიტეტულ სექტორს წარმოადგენს და შესაბამისად დასაქმების პოტენციალის მქონე სექტორად შესაძლოა იქნას განხილული. სექტორში არსებული ინვესტორი კომპანიები: AE Solar (მზის პანელების საწარმო გაიხსნა 2019 წელს), Group Atlantic (წყლის გამათბობლების წარმოება).

2019 წელს HR.GE-ზე გამოქვეყნებული ვაკანსიების მიმოხილვა

2019 წელს დასაქმების კერძო სააგენტოს - HR.GE მიერ გამოქვეყნებული ვაკანსიების უმრავლესობა მომსახურებებისა და გაყიდვების სფეროში დასაქმებულ პირებზე (25%) მოდის. ვაკანსიების მხრივ მაღალია მოთხოვნა ტექნიკოსებზე (22%), სპეციალისტებსა (17%) და ოფისის დამხმარე პერსონალზე (16%).


დიაგრამა 27 2019 წელს HR.GE-ზე გამოქვეყნებული ვაკანსიები ძირითადი ჯგუფების მიხედვით



შედარებისათვის 2019 წელს გამოცხადებული ვაკანსიების რაოდენობა ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით თითქმის წინა წლის ანალოგიურ სურათს

იძლევა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ შრომის ბაზარზე ვაკანსიების გენერირების მხრივ ძირეული ცვლილებები არ მომხდარა.

დიაგრამა 28 2019 და 2018 წლებში გამოცხადებული ვაკანსიები ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით



ძირითადი ჯგუფი: მომსახურებებისა და გაყიდვების სფეროებში დასაქმებული პირები

მომსახურებისა და გაყიდვების სფეროში დასაქმებულ პირებზე ვაკანსიების სიმრავლე უკავშირდება უშუალოდ გაყიდვების სფეროში დასაქმებულ პირებზე (57%) მაღალი მოთხოვნით. გარდა ამისა მაღალია მოთხოვნა ისეთ პროფესიულ ჯგუფებზე, რომლებიც კავშირშია ტურიზმისა და უსაფრთხოების სფეროსთან. კერძოდ, გამოქვეყნებულ ვაკანსიებს შორის დიდია მოთხოვნა მაღაზიის კონსულტანტ-გამყიდველებზე (7,747), უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებზე (1,812), მიმტანებზე (1,696), მზარეულებზე (1,327), მოლარეებზე (1,005), ბარმენებსა (668) და შინამოსამსახურეებზე (647).

აღნიშნულ ელემენტარულ ჯგუფებზე საკვალიფიკაციო მოთხოვნა უმრავლეს შემთხვევაში ითვალისწინებს პროფესიულ ან საშუალო განათლებას. აღნიშნული პროფესიული ჯგუფები ხშირ შემთხვევაში ხასითდებიან დაბალი შრომისნაყოფიერებით და შესაბამისად სამუშაო ძალის მაღალი მობილობით, რაც თავის მხრივ განაპირობებს ვაკანსიების სიმრავლეს.

ცხრილი 1. მომსახურების და გაყიდვების სფეროებში დასაქმებული პირები

კოდი	ქვეჯგუფი	ვაკანსიების რაოდენობა	წილი
51	პირადი მომსახურებების სფეროში დასაქმებული პირები	5027	32%
52	გაყიდვების სფეროში დასაქმებული პირები	9001	57%
54	მოსახლეობისა და საკუთრების დამცველი სამსახურების მუშაკები	1827	12%
	სულ	15855	

კოდი	ელემენტარული ჯგუფები	ვაკანსიების რაოდენობა	წილი
5111	ბორტგამცილებლები და სტიუარდები	3	0%
5113	მოგზაურობის გიდები	71	1%
5120	მზარეულები	1327	26%
5131	მიმტანები	1696	34%
5132	ბარმენები	668	13%
5141	სტილისტები	152	3%
5142	კოსმეტოლოგები და მონათესავე სფეროში დასაქმებული პირები	290	6%
5151	ოფისების, სასტუმროებისა და სხვა დაწესებულებების დალაგებისა და საოჯახო საქმეების	172	3%
5152	შინამოსამსახურეები	647	13%
5165	სატრანსპორტო საშუალებების მართვის ინსტრუქტორები	1	0%
	სულ	5027	

კოდი	ელემენტარული ჯგუფები	ვაკანსიების რაოდენობა	წილი
5222	მაღაზიის ზედამხედველები	112	1%
5223	მაღაზიების კოსულტანტ-გამყიდველები	7747	86%
5230	მოლარეები და ბილეთების გამყიდველ-კონტროლიორები	1005	11%
5242	გაყიდვების წარმომადგენლები	4	0%
5245	მომსახურების პუნქტების მუშები	112	1%
5249	სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი გაყიდვების სფეროს მუშაკები	21	0%
	სულ	9001	

კოდი	ელემენტარული ჯგუფები	ვაკანსიების რაოდენობა	წილი
5411	ზედამხედველები	9	0%
5414	უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები	1812	99%
5419	სხვა კატეგორიაში ჩაურთველი მოსახლეობისა და საკუთრების დამცველი სამსახურების მუშაკები	6	0%
	სულ	1827	

ძირითადი ჯგუფი: ტექნიკოსები და დამხმარე სპეციალისტები

ტექნიკოსებისა და დამხმარე სპეციალისტების ძირითადი ჯგუფიდან ვაკანსიების უმრავლესობა მოდის ბიზნესისა და ადმინისტრირების დამხმარე სპეციალისტებზე (76%). კერძოდ: კომერციული გაყიდვების წარმომადგენლებზე (5,462), საკრედიტო სესხის ოფიცრებზე (1,956), ოფისის ზედამხედველებზე (1,415) და სადაზღვეო წარმომადგენლებზე (716).

ზოგადად მაღალია მოთხოვნა IT ტექნიკოსებსა და ჯანდაცვის დამხმარე სპეციალისტებზე, რომელთა შორის აღსანიშნავია სამედიცინო სფეროს დამხმარე პერსონალი (852), კომპიუტერული ქსელების ტექნიკოსები (629), ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მომხმარებლის მხარდაჭერის ტექნიკოსები (427). ტექნიკოსებსა და დამხმარე სპეციალისტებზე წარმოდგენილი ვაკანსიები მოიცავს ინჟინერიის, სამედიცინო, ბიზნესის, ტურიზმისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების დარგებს, რომლებზეც საკვალიფიკაციო მოთხოვნა ითვალისწინებს უმაღლეს განათლებას და უმეტესწილად გამოირჩევა მაღალი ანაზღაურებით.

ცხრილი 2. ტექნიკოსები და დამხმარე სპეციალისტები

კოდი	ძირითადი ჯგუფები	ვაკანსიების რაოდენობა	წილი
31	სამეცნიერო და საინჟინრო დამხმარე სპეციალისტები	685	5%
32	ჯანდაცვის დამხმარე სპეციალისტები	1088	8%
33	ბიზნესისა და ადმინისტრირების დამხმარე სპეციალისტები	10665	76%
34	სამართლის, სოციალური, კულტურისა და მონათესავე დარგების დამხმარე სპეციალისტები	354	3%

35	ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ტექნიკოსები	1190	9%
	სულ	13982	

კოდი	ელემენტარული ჯგუფები	ვაკანსიების რაოდენობა	წილი
3111	ქიმიური და ფიზიკური მეცნიერებების ტექნიკოსები	23	3%
3112	სამოქალაქო ინჟინერიის ტექნიკოსები	75	11%
3113	ელექტროტექნიკოსები	117	17%
3115	მანქანათმშენებლობის ტექნიკოსები	3	0%
3117	სამთომოპოვებითი მრეწველობის და მეტალურგიის ტექნიკოსები	18	3%
3118	მხაზველები	166	24%
3123	მშენებლობის ზედამხედველები	174	25%
3139	პროცესის კონტროლის ტექნიკოსები სხვა დაჯგუფებაში ჩაურთველი	107	16%
3151	გემების მექანიკოსები	1	0%
3155	საჰაერო მოძრაობის უსაფრთხოების ელექტროტექნიკოსები	1	0%
	სულ	685	

კოდი	ელემენტარული ჯგუფები	ვაკანსიების რაოდენობა	წილი
3211	რენტგენოლოგიისა და თერაპევტიული აღჭურვილობის ტექნიკოსები	9	1%
3212	სამედიცინო და პათოლოგიური ლაბორატორიის ტექნიკოსები	93	9%
3255	ფიზიოთერაპიის ტექნიკოსები და ასისტენტები	68	6%
3256	სამედიცინო სფეროს დამხმარე პერსონალი	852	78%
3257	გარემოსა და პროფესიული ჯანდაცვის სფეროს ინსპექტორები და დამხმარეები	39	4%
3258	სასწრაფო დახმარების პერსონალი	27	2%
	სულ	1088	

კოდი	ელემენტარული ჯგუფები	ვაკანსიების რაოდენობა	წილი
3312	საკრედიტო და სესხის ოფიცრები	1956	18%
3313	საბუღალტრო სფეროს სპეციალისტები	326	3%
3321	სადაზღვევო წარმომადგენლები	716	7%
3322	კომერციული გაყიდვების წარმომადგენელი	5462	51%
3323	შემსყიდველები	472	4%
3324	სასაქონლო ბროკერი	11	0%
3332	კონფერენციებისა და ღონისძიებების ორგანიზატორები	41	0%
3334	უძრავი ქონების აგენტები და ქონების მენეჯერები	235	2%
3335	სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი ბიზნეს მომსახურების აგენტი	12	0%
3341	ოფისის ზედამხედველები	1415	13%
3342	სამართლებრივი სფეროს მდივნები	19	0%

	სულ	10665	
--	-----	-------	--

კოდი	ელემენტარული ჯგუფები	ვაკანსიების რაოდენობა	წილი
3422	სპორტის მწვრთნელები, ინსტრუქტორები და სპორტთან დაკავშირებული ოფიციალური პირები	31	9%
3423	ფიტნეს და სპორტული დასვენების ინსტრუქტორები და სპორტული პროგრამის ხელმძღვანელები	34	10%
3431	ფოტოგრაფები	32	9%
3432	ინტერიერის დიზაინერები და დეკორატორები	76	21%
3433	გალერეის, მუზეუმისა და ბიბლიოთეკის მუშაკები	3	1%
3434	შეფუთვარეულები	178	50%
	სულ	354	

კოდი	ელემენტარული ჯგუფები	ვაკანსიების რაოდენობა	წილი
3511	ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ოპერირების ტექნიკოსები	81	7%
3512	ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მომხმარებლის მხარდაჭერის ტექნიკოსები	427	36%
3513	კომპიუტერული ქსელისა და სისტემის ტექნიკოსები	629	53%
3521	რადიომაუწყებლობისა და აუდიოვიზუალის ტექნიკოსები	53	4%
	სულ	1190	

ძირითადი ჯგუფი: სპეციალისტები

სპეციალისტების ძირითად ჯგუფში, ტექნიკოსებისა და დამხმარე სპეციალისტების ძირითადი ჯგუფის მსგავსად ვაკანსიების სიმრავლით ლიდერობს ბიზნესისა და ადმინისტრირების სპეციალისტები (40%) და თითქმის ანალოგიურ სურათს იძლევა გასული წლის მაჩვენებელთან შედარებით. ბიზნესისა და ადმინისტრირების სპეციალისტებზე ვაკანსიების სიმრავლე განპირობებულია ბუღალტრებსა (2,297) და მარკეტინგის სპეციალისტებზე (1,569) მაღალი მოთხოვნით. ბუღალტრებზე ვაკანსიების სიმრავლე შესაძლოა აიხსნას იმ გარემოებით, რომ ისინი რიგ შემთხვევებში დასაქმებულები არიან ერთზე მეტ სამუშაო ადგილას და იურიდიული სუბიექტების აქტიურობის ზრდის პარალელურად იზრდება მათზე მოთხოვნა.

ცხრილი 3. სპეციალისტები

კოდი	ქვეჯგუფი	ვაკანსიების რაოდენობა	წილი
21	მეცნიერებისა და ინჟინერიის პროფესიონალები	1564	14%
22	ჯანდაცვის სფეროს სპეციალისტები	1681	15%
23	განათლების სპეციალისტები	1109	10%
24	ბიზნესისა და ადმინისტრირების სპეციალისტები	4461	40%

25	ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სპეციალისტები	1446	13%
26	სამართლის, სოციალური და კულტურის სფეროთა სპეციალისტები	839	8%
	სულ	11100	

მეცნიერებისა და ინჟინერიის პროფესიონალებზე გამოცხადებული ვაკანსიები გადანაწილებულია სხვადასხვა პროფესიულ ჯგუფზე, რომელიც მოიცავს მეცნიერებისა და ინჟინერიის ფართო სპექტრს. შესაძლოა თითოეული მათგანი არ გამოირჩეოდეს რაოდენობრივი სიმრავლით, თუმცა ეკონომიკის სხვადასხვა დარგის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია ქვეყანაში კვალიფიციური სპეციალისტების არსებობა და მათი საკვალიფიკაციო მოთხოვნა დაკავშირებულია მაღალი დონის უნარებთან, გამოცდილებასა და უმაღლეს განათლებასთან. მეცნიერებისა და ინჟინერიის პროფესიონალებზე გამოცხადებული ვაკანსიებიდან ფართოდ არიან წარმოდგენილები: გრაფიკული და მულტიმედიის დიზაინერები (493), ასევე ტელეკომუნიკაციის ინჟინრები (358).

კოდი	ელემენტარული ჯგუფები	ვაკანსიების რაოდენობა	კოდი
2111	ფიზიკოსები და ასტრონომები	12	1%
2113	ქიმიკოსები	11	1%
2114	გეოლოგები და გეოფიზიკოსები	4	0%
2115	ინჟინერ-ელექტრიკოსები	22	1%
2120	მათემატიკოსები, აქტუარები და სტატისტიკოსები	4	0%
2131	ბიოლოგები, ბოტანიკოსები, ზოოლოგები და მონათესავე სფეროების სპეციალისტები	6	0%
2132	ფერმერული მეურნეობის, მეტყვევობისა და მეთევზეობის სფეროთა მრჩეველები	67	4%
2133	გარემოს დაცვის სპეციალისტები	16	1%
2141	მრეწველობისა და წარმოების ინჟინრები	12	1%
2142	სამოქალაქო მშენებლობის ინჟინრები	93	6%
2144	ინჟინერ-მექანიკოსები	80	5%
2145	ინჟინერ-ქიმიკოსები	13	1%
2146	სამთო ინჟინრები, მეტალურგები და მონათესავე სფეროების სპეციალისტები	30	2%
2149	სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი ინჟინერიის სპეციალისტები	100	6%
2151	ინჟინერ-ელექტრიკოსები	64	4%
2152	ელექტრონიკის ინჟინრები	11	1%
2153	ტელეკომუნიკაციების ინჟინრები	358	23%
2161	შენობის არქიტექტორები	164	10%
2163	პროდუქციისა და ტანსაცმლის დიზაინერები	4	0%
2166	გრაფიკული და მულტიმედიის დიზაინერები	493	32%
	სულ	1564	

საკმაოდ დიდი და მრავალფეროვანია ვაკანსიების ჩამონათვალი ჯანდაცვის სფეროს სპეციალისტებზე, კერძოდ: მედიცინის სპეციალისტ-პრაქტიკოსებზე (447), ფარმაცევტებზე (419), ექთნებსა (332) და ფიზიოთერაპევტებზე (84). ცალკე აღნიშვნის ღირსია მოთხოვნა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტებზე (83), რომელიც უახლოეს პერიოდში კიდევ უფრო გაიზრდება, რადგან 2019 წლის სექტემბრიდან დამსაქმებლებს ევალებათ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სამართლებრივი მარეგულირებელი ნორმებისა და წესების შესაბამისად, შრომის უსაფრთხოების დაცვის უზრუნველსაყოფად შრომის უსაფრთხოების სპეციალისტების დაქირავება.

კოდი	ელემენტარული ჯგუფები	ვაკანსიების რაოდენობა	კოდი
2211	მედიცინის პრაქტიკოსები	135	8%
2212	მედიცინის სპეციალისტ-პრაქტიკოსები	447	27%
2221	სპეციალისტი ექთნები	322	19%
2222	სპეციალისტი მეანები	2	0%
2240	პარამედიცინის პრაქტიკოსები	1	0%
2250	ექიმი-ვეტერინარები	18	1%
2261	სტომატოლოგები	148	9%
2262	ფარმაცევტები	419	25%
2263	გარემოს, შრომის უსაფრთხოებისა და ჰიგიენის სფეროს სპეციალისტები	83	5%
2264	ფიზიოთერაპევტები	84	5%
2265	დიეტოლოგები და კვების სპეციალისტები	2	0%
2266	აუდიოლოგები და მეტყველების სპეციალისტები (ლოგოპედი)	2	0%
2267	ოფთალმოლოგები, ოპტომეტრისტები და ოპტიკოსები	18	1%
	სულ	1681	

განათლების სპეციალისტებზე მოთხოვნის კუთხით უნდა გამოიყოს მოთხოვნა სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელებზე (270), საშუალო (224) და უმაღლესი განათლების (204) მასწავლებლებზე. ცალკე აღნიშვნის ღირსია ვაკანსიების სიმრავლე უცხო ენის მასწავლებლებზე (294), რაც თავის მხრივ განპირობებულია საგანმანათლებლო პროგრამებსა და შრომის ბაზარზე უცხო ენების მოთხოვნით.

კოდი	ელემენტარული ჯგუფები	ვაკანსიების რაოდენობა	კოდი
2310	უნივერსიტეტისა და უმაღლესი განათლების მასწავლებლები	204	18%
2330	საშუალო განათლების მასწავლებლები	224	20%
2342	სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელები	270	24%
2353	უცხო ენის მასწავლებლები	294	27%
2359	სხვა დაჯგუფებებში ჩარურთველი მასწავლებლები	117	11%
	სულ	1109	

კოდი	ელემენტარული ჯგუფები	ვაკანსიების რაოდენობა	კოდი
2411	ბუღალტრები	2297	51%
2413	ფინანსური ანალიტიკოსი	197	4%
2421	მართვისა და ორგანიზაციული ანალიტიკოსები	84	2%
2423	პერსონალისა და კარიერული წინსვლის სპეციალისტი	209	5%
2431	რეკლამირებისა და მარკეტინგის სპეციალისტები	1569	35%
2432	საზოგადოებასთან ურთიერთობების სპეციალისტები	88	2%
2433	ტექნიკური და სამედიცინო გაყიდვების სპეციალისტები (გარდა ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა – ICT)	17	0%
	სულ	4461	

ქვეყანაში ინტერნეტისა და ციფრული ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად მზარდია მოთხოვნა ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სპეციალისტებზე. სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორი საკუთარი მომსახურებისა და პროდუქტების რეალიზაციისათვის საჭიროებენ ინოვაციური ელექტორული პროდუქტებისა და აპლიკაციების შექმნას. ინფორმაცია და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სპეციალისტებზე მოთხოვნა ცდება ქვეყნის ფარგლებს და გლობალურ ხასითს ატარებს, რადგან მომსახურების გაწევა შესაძლებელია დისტანციურად მუშაობის გზით. ინფორმაცია და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სპეციალისტებზე გამოქვეყნებული ვაკანსიების რაოდენობით აღსანიშნავია მოთხოვნა პროგრამისტებსა (1103) და მონაცემთა ბაზის დიზაინერებზე (113).

კოდი	ელემენტარული ჯგუფები	ვაკანსიების რაოდენობა	კოდი
2511	სისტემების ანალიტიკოსები	49	3%
2512	პროგრამისტები	1103	76%
2514	აპლიკაციების პროგრამისტები	67	5%
2519	სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი კომპიუტერული პროგრამებისა და აპლიკაციების განვითარების სპეციალისტები და ანალიტიკოსები	73	5%
2521	მონაცემთა ბაზის დიზაინერები და ადმინისტრატორები	113	8%
2529	სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი მონაცემთა ბაზისა და ქსელების სპეციალისტები	41	3%
	სულ	1446	

სამართლის, სოციალური და კულტურის სფეროს სპეციალისტებიდან მაღალია მოთხოვნა იურისტებზე (307), ჟურნალისტებსა (114) და მთარგმნელებზე (86).

კოდი	ელემენტარული ჯგუფები	ვაკანსიების რაოდენობა	კოდი
2611	იურისტები	307	37%

2619	სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი სამართლის სპეციალისტები	29	3%
2621	არქივარიუსები და მუზეუმის კურატორები	23	3%
2622	ბიბლიოთეკარები და მონათესავე სფეროთა სპეციალისტები	16	2%
2631	ეკონომისტები	22	3%
2632	სოციოლოგები, ანთროპოლოგები და მონათესავე სფეროთა სპეციალისტები	40	5%
2634	ფსიქოლოგები	44	5%
2635	სოციალური სამუშაოებისა და კონსულტაციების სფეროთა სპეციალისტები	15	2%
2641	მწერლები, პოეტები და სხვა ლიტერატორები	20	2%
2642	ჟურნალისტები	114	14%
2643	მთაგმნელები, თარჯიმნები და სხვა ლინგვისტები	86	10%
2651	სახვითი ხელოვნების მხატვრები	18	2%
2652	მუსიკოსები, მომღერლები და კომპოზიტორები	18	2%
2653	მოცეკვავეები და ქორეოგრაფები	3	0%
2654	ფილმის, სასცენო და მონათესავე სფეროთა რეჟისორები და პროდიუსერები	5	1%
2655	მსახიობები	5	1%
2656	რადიოს, სატელევიზიო და სხვა მედიასაშუალებების დიქტორები	5	1%
2659	სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი შემოქმედებითი და საშემსრულებლო არტისტები	69	8%
	სულ	839	

ძირითადი ჯგუფი: ოფისის დამხმარე პერსონალი

ფართოდ არის წარმოდგენილი ვაკანსიები ოფისის დამხმარე პერსონალზე, რომელთა საქმიანობის სფეროს განეკუთვნება: სამდივნო მოვალეობების შესრულება, მგზავრობისა და ტრანსპორტირების საკითხების ორგანიზება, მომხმარებლისათვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება და ტელეფონის კომუტატორის მომსახურება. მათზე საკვალიფიკაციო მოთხოვნა უმრავლეს შემთხვევაში ითვალისწინებს საშუალო განათლებასა და კონკრეტული უნარების ცოდნას. კერძოდ, გამართულ წერასა და კომუნიკაციას, ენების ცოდნას, მათემატიკური აზროვნების უნარსა და კონკრეტულ პროგრამებში მუშაობის ცოდნას. გამოცხადებული ვაკანსიების მიხედვით დიდია მოთხოვნა მომხმარებლის ინფორმირების სფეროში დასაქმებულ პირებსა (76%) და რაოდენობრივი და მატერიალური ფასეულობების აღმრიცხველ კლერკებზე (16%).

ცხრილი 4. ოფისის დამხმარე პერსონალი

კოდი	ქვეჯგუფები	ვაკანსიების რაოდენობა	წილი
41	ზოგადი და ტექსტის ამკრეფი კლერკები	136	1%
42	მომხმარებლის ინფორმირების სფეროში დასაქმებული პირები	7578	76%

43	რაოდენობრივი და მატერიალური ფასეულობების აღმრიცხველი კლერკები	1621	16%
44	ოფისის დამხმარე პერსონალში დასაქმებული სხვა პირები	588	6%
	სულ	9923	

ელემენტარული ჯგუფების მიხედვით მაღალია მოთხოვნა: საკონტაქტო ცენტრის კლერკებზე (1,921), მოლარეებზე (1849), მიმღების ოპერატორებზე (1768), ტრანსპორტის კლერკებზე (1551), სატელეფონო კომპუტატორის ოპერატორებზე (1298), მოგზაურობის კონსულტანტებსა (677) და კურიერებზე (526).

კოდი	ელემენტარული ჯგუფები	ვაკანსიების რაოდენობა	წილი
4110	ოფისის ზოგადი კლერკები	86	63%
4120	მდივნები (ზოგადი)	50	37%
	სულ	136	

კოდი	ელემენტარული ჯგუფები	ვაკანსიების რაოდენობა	წილი
4211	ბანკის მოლარეები და მონათესავე სფეროთა კლერკები	1849	24%
4212	ტოტალიზატორის ოპერატორები (ბუკმეკრები), ბანკოს დამრიგებლები (კრუპიები) და აზარტული თამაშების სფეროში დასაქმებული სხვა პირები	35	0%
4221	მოგზაურობის კონსულტანტები და კლერკები	677	9%
4222	საკონტაქტო ცენტრის კლერკები	1921	25%
4223	სატელეფონო კომპუტატორის ოპერატორები	1298	17%
4226	მიმღების ოპერატორები (ზოგადი)	1768	23%
4227	გამოკვლევისა და ბაზრის კვლევების ინტერვიუერები	30	0%
	სულ	7578	

კოდი	ელემენტარული ჯგუფები	ვაკანსიების რაოდენობა	წილი
4311	საბუღალტრო ოპერაციებისა და აღრიცხვის კლერკები	70	4%
4323	ტრანსპორტირების კლერკები	1551	96%
	სულ	1621	

კოდი	ელემენტარული ჯგუფები	ვაკანსიების რაოდენობა	წილი
4412	კურიერები და ფოსტის დამხარისხებლები	526	89%
4415	საქმისმწარმოებლები და ასლების გადამღები კლერკები	62	11%
	სულ	588	

ძირითადი ჯგუფი: დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშახელი

მოთხოვნაა დამწყები კვალიფიკაციის მუშახელზე, რომელთა შესასრულებელი სამუშაოები უკავშირდება ფიზიკურ შრომას და საკვალიფიკაციო მოთხოვნა შემოფარგლება საბაზისო განათლებით. დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშახელიდან მაღალია მოთხოვნა მწმენდავებსა და დამხმარეებზე (51%). კერძოდ: ოფისის დამლაგებლებსა (1,819) და ავტომობილის მწმენდავებზე (118). სხვა ელემენტარული ჯგუფებიდან ვაკანსიების სიმრავლით გამოირჩევა მტვირთავეები (1,216) და სამზარეულოს დამხმარეები (695).

ცხრილი 5. დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშახელი

კოდი	ქვეჯგუფები	ვაკანსიების რაოდენობა	წილი
91	მწმენდავები და დამხმარეები	1989	51%
93	სამთო-მოპოვებითი, სამშენებლო, მრეწველობისა და ტრანსპორტის სფეროს მუშები	1216	31%
94	სამზარეულოს დამხმარეები	695	18%
96	ნარჩენების გამტანები და სხვა დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშები	35	1%
	სულ	3935	

კოდი	ელემენტარული ჯგუფები	ვაკანსიების რაოდენობა	წილი
9112	ოფისის, სასტუმროებისა და სხვა დაწესებულებების დამლაგებლები და დამხმარეები	1819	91%
9122	ავტომობილების მწმენდავები	118	6%
9123	ფანჯრების მრეცხავები	27	1%
9124	სხვა ტიპის მრეცხავები	25	1%
	სულ	1989	

კოდი	კოდი	ელემენტარული ჯგუფები	ვაკანსიების რაოდენობა
93	9333	მტვირთავეი	1216
94	9412	სამზარეულოს დამხმარეები	695
96	9613	მეზოვეები და მსგავსი დანწყები კვალიფიკაციის მუშები	35

ძირითადი ჯგუფი: ხელოსნები და მონათესავე სფეროების მუშები

აღნიშნული ჯგუფი აერთიანებს ფართო სპექტრის ხელოსნებსა და მუშებს, რომლებიც იყენებენ კონკრეტულ ცოდნას და უნარებს: შენობების ასაშენებლად; ლითონის კონსტრუქციებს ასამართავად; მანქანა-დანადგარების და მოწყობილობის დასაყენებლად, ტექნიკური მომსახურების გასაწევად და გასარემონტებლად; ბეჭდური სამუშაოების შესასრულებლად; საკვები პროდუქტების, ტექსტილის და სხვა

სახის საქონლის საწარმოებლად და დასამუშავებლად. მათზე საკვალიფიკაციო მოთხოვნა ძირითად შემთხვევაში ითვალისწინებს პროფესიულ განათლებას.

აღნიშნული ძირითადი ჯგუფიდან დიდია მოთხოვნა საკვები პროდუქტების გადამამუშავებლებზე (30%), ასევე ელექტრული მოწყობილობებისა (27%) და მშენებლობის მუშებზე (26%). უფრო კონკრეტულად, მრავლად არის ვაკანსიები: შენობის ელექტრიკოსებზე (946), პურის მცხოვრებებსა და კონდიტერებზე (843), ავტოსატრანსპორტო საშუალებების მექანიკოსებსა და შემკეთებლებზე (503). უშუალოდ მშენებლობის სფეროს მუშებიდან მოთხოვნადია: სახლის მშენებლები (268), ხუროები და დურგლები (166), ჰაერის კონდიციონერებისა და გაგრილების სისტემის მექანიკოსები (94) და ზეინკალ-სანტექნიკოსები (92).

ცხრილი 6. ხელოსნები და მონათესავე სფეროების მუშები

კოდი	ქვეჯგუფები	ვაკანსიების რაოდენობა	წილი
71	მშენებლობისა და მონათესავე პროფესიის მუშები	986	26%
72	ლითონგადამამუშავებლები, მანქანათმშენებლები და მონათესავე სფეროების მუშები	632	17%
73	ხელოსნები და პოლიგრაფიული წარმოების მუშები	33	1%
74	ელექტრული და ელექტრონული მოწყობილობების სფეროების მუშები	1010	27%
75	საკვები პროდუქტების გადამამუშავებლები	1128	30%
	სულ	3789	

კოდი	ელემენტარული ჯგუფები	ვაკანსიების რაოდენობა	წილი
7111	სახლების მშენებლები	268	27%
7114	ბეტონჩამსხმელი, ბეტონმომპირკეთებელი და მონათესავე სფეროების მუშები	12	1%
7115	ხუროები და დურგლები	166	17%
7123	მებათქაშეები	4	0%
7126	ზეინკალ-სანტექნიკოსები და ზეინკალ-მილგამყვანები	92	9%
7127	ჰაერის კონდიციონერებისა და გაგრილების სისტემის მექანიკოსები	94	10%
7131	მღებავები და მონათესავე სფეროების მუშები	49	5%
7319	ხელოსნები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი	301	31%
	სულ	986	

კოდი	ელემენტარული ჯგუფები	ვაკანსიების რაოდენობა	წილი
7212	შემდუღებლები და აირით მჭრელები	99	16%
7213	მვალცავეები	24	4%
7231	ავტოსატრანსპორტო საშუალებების მექანიკოსები და შემკეთებლები	503	80%

7232	ავიაპრავების მექანიკოსები და შემკეთებლები	6	1%
	სულ	632	

კოდი	ელემენტარული ჯგუფები	ვაკანსიების რაოდენობა	
7322	მბეჭდავები	33	

კოდი	ელემენტარული ჯგუფები	ვაკანსიების რაოდენობა	წილი
7411	შენობების და მონათესავე სფეროების ელექტრიკოსები	946	94%
7412	ელექტრული მოწყობილობის მექანიკოსები და მონტიორები	19	2%
7413	ელექტრონიკის ტექნიკოსები	45	4%
	სულ	1010	

კოდი	ელემენტარული ჯგუფები	ვაკანსიების რაოდენობა	წილი
7511	ხორცის, თევზისა და მსგავსი საკვები პროდუქტების გადამამუშავებლები	37	3%
7512	პურის მცხოვრებლები, კონდიტერები და ტკბილეულის დამამზადებლები	843	75%
7515	საკვები პროდუქტების და სასმელების დეგუსტატორები და დამზარისხებლები	60	5%
7533	მკერავები, მქარგავები და მონათესავე სფეროების ხელოსნები	188	17%
	სულ	1128	

ძირითადი ჯგუფი: სამრეწველო დანადგარებისა და მანქანების ოპერატორები და ამწყობები

სამრეწველო დანადგარებისა და მანქანების ოპერატორების ძირითადი ჯგუფიდან ვაკანსიები ფართოდ არის წარმოდგენილი მძღოლებსა და მობილური დანადგარების ოპერატორებზე (79%). მოთხოვნაა სატვირთო (1,684) და მსუბუქი (768) ავტომობილის მძღოლებზე, ასევე ამწეების ოპერატორებზე (95). სხვა ელემენტარული ჯგუფებიდან ვაკანსიების სიმრავლით გამოირჩევა: შესაფუთი, ჩამოსასხმელი და ეტიკეტირების მანქანების ოპერატორები (350) და ლითონის დამუშავების დანადგარების ოპერატორები (169). აღნიშნულ ძირითად ჯგუფზე საკვალიფიკაციო მოთხოვნა ითვალისწინებს ძირითადად პროფესიული განათლებას, შესაბამისი უნარების ცოდნასა და გამოცდილებას.

ცხრილი 7. სამრეწველო დანადგარებისა და მანქანების ოპერატორები და ამწყობები

კოდი	ქვეჯგუფები	ვაკანსიების რაოდენობა	წილი
81	მდგრადი სამრეწველო დანადგარების და მანქანების ოპერატორები	577	18%
82	ამწყობები	107	3%
83	მძღოლები და მობილური დანადგარების ოპერატორები	2553	79%
	სულ	3237	

კოდი	ელემენტარული ჯგუფები	ვაკანსიების რაოდენობა	წილი
8121	ლითონის დამუშავების დანადგარების ოპერატორები	169	29%
8143	ქაღალდის პროდუქციის დამამუშავებელი მანქანების ოპერატორები	58	10%
8183	შესაფუთი, ჩამოსასხმელი და ეტიკეტირების მანქანების ოპერატორები	350	61%
	სულ	577	

კოდი	ელემენტარული ჯგუფები	ვაკანსიების რაოდენობა	წილი
8211	მექანიკური მანქანების ამწყობები	44	41%
8212	ელექტრული და ელექტრონული მოწყობილობების ამწყობები	38	36%
8343	ამწეების, საწვევლებისა და მსგავსი მანქანების ოპერატორები	25	23%
	სულ	107	

კოდი	ელემენტარული ჯგუფები	ვაკანსიების რაოდენობა	წილი
8322	მსუბუქი ავტომობილების, ტაქსებისა და ფურგონების მძღოლები	768	30%
8332	სატვირთო ავტომობილების მძღოლები	1684	66%
8341	სასოფლო და სატყეო მეურნეობების მოტორიზებული მოწყობილობების ოპერატორი	4	0%
8343	ამწეების, საწვევლებისა და მსგავსი მანქანების ოპერატორები	95	4%
8344	ავტოსაწვევლების ოპერატორები	2	0%
	სულ	2553	

ძირითადი ჯგუფი: მენეჯერები

მრავალფეროვნებით გამოირჩევა მენეჯერულ პოზიციებზე გამოცხადებული ვაკანსიები, რაც უკავშირდება სხვადასხვა სფეროსა და რგოლის მენეჯერულ პოზიციებს. მაღალია მოთხოვნა ადმინისტრაციულ და კომერციულ მენეჯერებზე (61%). კერძოდ, ვაკანსიები შეეხება კომერციული მომსახურების (434), გაყიდვებისა და მარკეტინგის (300), ადამიანური რესურსების (294) და ფინანსური (211) მენეჯერების

პოზიციებს. სხვა ქვეჯგუფებიდან მოთხოვნაა რესტორნების (207), სასტუმროების (114), დამამუშავებელი მრეწველობისა (158) და უმაღლესი რგოლის (84) მენეჯერებზე. მენეჯერულ პოზიციებზე საკვალიფიკაციო მოთხოვნას წარმოადგენს უმაღლესი განათლება, მაღალი დონის უნარები და მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობის გამოცდილება.

ცხრილი 8. მენეჯერები

კოდი	ქვეჯგუფი	ვაკანსიების რაოდენობა	წილი
11	უმაღლესი რგოლის მენეჯერები, მაღალი თანამდებობის პირები და კანონმდებლები	84	4%
12	ადმინისტრაციული და კომერციული მენეჯერები	1259	61%
13	წარმოებისა და სპეციალური მომსახურების მენეჯერები	398	19%
14	სასტუმროების, საცალო ვაჭრობისა და სხვა მომსახურებების მენეჯერები	321	16%
	სულ	2062	

კოდი	ელემენტარული ჯგუფები	ვაკანსიების რაოდენობა
1120	მმართველი დირექტორები და უმაღლესი რგოლის მენეჯერები	84

კოდი	ქვეჯგუფი	ვაკანსიების რაოდენობა	წილი
1211	ფინანსური მენეჯერი	211	17%
1212	ადამიანური რესურსების მენეჯერები	294	23%
1213	პოლიტიკისა და დაგეგმვის მენეჯერები	20	2%
1219	სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი კომერციული მომსახურებისა და ადმინისტრაციის მენეჯერები	434	34%
1221	გაყიდვებისა და მარკეტინგის მენეჯერები	300	24%
	სულ	1259	

კოდი	ქვეჯგუფი	ვაკანსიების რაოდენობა	წილი
1321	დამამუშავებელი მრეწველობის მენეჯერები	158	40%
1342	ჯანდაცვის სფეროს მომსახურებების მენეჯერები	57	14%
1345	განათლების სფეროს მენეჯერები	3	1%
1346	ფინანსური და სადაზღვევო მომსახურებების ფილიალის მენეჯერები	76	19%
1349	სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი პროფესიული მომსახურების მენეჯერები	104	26%
	სულ	398	

კოდი	ქვეჯგუფი	ვაკანსიების რაოდენობა	წილი
1411	სასტუმროს მენეჯერები	114	36%
1412	რესტორნის მენეჯერები	207	64%
	სულ	321	

ძირითადი ჯგუფი: სოფლის მეურნეობის, მეტყევეობისა და მეთევზეობის დარგის კვალიფიციური მუშაკები

ყველაზე მცირე რაოდენობის ვაკანსია გამოცხადა სოფლის მეურნეობის, მეტყევეობისა და მეთევზეობის დარგის კვალიფიციური მუშაკებზე. აღნიშნული აიხსნება იმ გარემოებით, რომ სოფლის მეურნეობის სექტორი გამოირჩევა თვითდასაქმებულთა მაღალი ხვედრითი წილით. შედარებისათვის, 2019 წელს სოფლის მეურნეობის სექტორში დასაქმებული იყო 644,6 ათასი ადამიანი (საერთო დასაქმების 38%), მაშინ როდესაც დაქირავებულ შრომას ეწეოდა მხოლოდ 11,7 ათასი ადამიანი. სოფლის მეურნეობაზე მოდის დაქირავებულ შრომის 1,7%.

ცხრილი 9. სოფლის მეურნეობის, მეტყევეობისა და მეთევზეობის დარგის კვალიფიციური მუშაკები

კოდი	ქვეჯგუფი	ვაკანსიების რაოდენობა	წილი
61	ბაზარზე ორიენტირებული სოფლის მეურნეობის სფეროს კვალიფიციური მუშაკები	88	97%
62	ბაზარზე ორიენტირებული მეტყევეობის, მეთევზეობისა და ნადირობის სფეროებში დასაქმებული კვალიფიციური პირები	3	3%
	სულ	91	

სოფლის მეურნეობის კვალიფიციურ მუშაკებზე წარმოდგენილია ვაკანსიები: რძისა და სხვა ცხოველური პროდუქტების მწარმოებლებზე (33), მეფრინველეებზე (19), ხეხილისა და ბუჩქოვანი კულტურების მწარმოებლებზე (18), მემინდვრეებსა და მებოსტნეებზე (15).

კოდი	ელემენტარული ჯგუფები	ვაკანსიების რაოდენობა	წილი
6111	მემინდვრეები და მებოსტნეები	15	17%
6112	ხეხილისა და ბუჩქოვანი კულტურების მწარმოებლები	18	20%
6113	მებაღეები, სანერგე მეურნეობის სპეციალისტები	3	3%
6121	რძისა და სხვა ცხოველური პროდუქტების მწარმოებლები	33	38%
6122	მეფრინველეები	19	22%
	სულ	88	

კოდი	ელემენტარული ჯგუფები	ვაკანსიების რაოდენობა
6222	შიდა და სანაპირო წყლებში მეთევზეობის სფეროში დასაქმებული პირები	3

ძირითადი ჯგუფი	ვაკანსიების რაოდენობა 2019	ვაკანსიების წილი 2019	უნარების დონე
1 კანონმდებლები, მთავრობის მაღალი რანგის თანამდებობის პირები და მენეჯერები	2062	3%	უმაღლესი განათლება
2 სპეციალისტები	11100	17%	
3 ტექნიკოსები და დამხმარე სპეციალისტები	13982	22%	
4 ოფისის დამხმარე პერსონალი	9923	16%	საშუალო და პროფესიული განათლება
5 მომსახურების სფეროსა და სავაჭრო დაწესებულებების მომსახურე პერსონალი	15855	25%	
6 სოფლის მეურნეობისა და მეთევზეობის დარგის კვალიფიციური მუშაკები	91	0%	
7 ხელოსნები და მონათესავე პროფესიების მუშაკები	3789	6%	
8 სამრეწველო დანადგარებისა და მანქანების ოპერატორები და ამწყობები	3237	5%	
9 მარტივი საქმიანობები	3935	6%	დაწყებითი და საბაზისო განათლება

ამრიგად, 2019 წელს დასაქმების კერძო სააგენტოს - HR.GE - ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ვაკანსიების ანალიზმა გვიჩვენა, რომ:

- გამოქვეყნებული ვაკანსიების რაოდენობამ დაახლოებით 66 ათასი შეადგინა;
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO 2008) ძირითადი ჯგუფების მიხედვით, ვაკანსიების მაღალი ხვედრითი წილით გამოირჩევა შემდეგი ძირითადი პროფესიული ჯგუფები: მომსახურების სფეროსა და სავაჭრო დაწესებულებების მომსახურე პერსონალი (25%), ტექნიკოსები და დამხმარე სპეციალისტები (22%), სპეციალისტები (17%) და ოფისის პერსონალი (16%). კერძოდ:
 - მომსახურებისა და გაყიდვების სფეროში მაღალია მოთხოვნა: მაღაზიის კონსულტანტ-გამყიდველებზე (7747), უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებზე (1812), მიმტანებზე (1696), მოლარეებსა (1005) და ბარმენებზე (668);
 - ტექნიკოსებზე მაღალი მოთხოვნა განპირობებულია ბიზნესისა და ადმინისტრაციის დამხმარე სპეციალისტებზე ვაკანსიების სიმრავლით, რომელთაგან აღსანიშნავია ვაკანსიები: კომერციული გაყიდვების წარმომადგენლებზე (5462), საკრედიტო და სესხის ოფიცრებზე (1956), ოფისის ზედამხედველებზე (1415). ასევე, ფართოდ იყო წარმოდგენილი ვაკანსიები სამედიცინო სფეროს დამხმარე პერსონალსა (852) და კომპიუტერული ქსელისა და სისტემის ტექნიკოსებზე (629);

- ტექნიკოსების მსგავსად, **სპეციალისტებიდან** ვაკანსიების სიმრავლით გამოირჩევა ბიზნესისა და ადმინისტრაციის სპეციალისტები. კერძოდ, მაღალია მოთხოვნა ბუღალტრებზე (2297), რეკლამისა და მარკეტინგის სპეციალისტებზე (1569). გარდა ამისა მაღალია მოთხოვნა: პროგრამისტებზე (1103), გრაფიკული და მულტიმედიის დიზაინერებზე (493), მედიცინის სპეციალისტ-პრაქტიკოსებზე (447), ფარმაცევტებზე (419), ტელეკომუნიკაციების ინჟინრებზე (358), ექთნებზე (322), იურისტებზე (307) და ზოგადად განათლების სპეციალისტებზე (1109 - უცხო ენის, სკოლამდელი, საშუალო და უმაღლესი განათლების მასწავლებლები);
- ოფისის დამხმარე პერსონალიდან დიდია მოთხოვნა: საკონტაქტო ცენტრის კლერკებზე (1921), ბანკის მოლარეებზე (1849), მიმღების ოპერატორებზე (1768), ტრანსპორტირების კლერკებზე (1551), სატელეფონო კომუტატორის ოპერატორებზე (1298), მოგზაურობის კონსულტანტებზე (677), კურიერებსა და ფოსტის დამხარისხებლებზე (526).
- გამოქვეყნებული ვაკანსიების უმრავლესობა საჭიროებს საშუალო და პროფესიულ განათლებას (52%) და აღემატება ვაკანსიებს, რომლებიც საჭიროებს უმაღლეს განათლებას (42%). იმ ვაკანსიების ჩამონათვალი, რომლებიც გათვლილია დაწყებით და საბაზისო განათლებაზე შეადგენს 6%-ს.

2019 წელს HR.GE-ზე დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO 2008) ელემენტარული ჯგუფების მიხედვით, ყველაზე მეტი ვაკანსია გამოცხადდა შემდეგ პოზიციებზე:

კოდი	ელემენტარული ჯგუფი	რაოდენობა
5223	მაღაზიების კონსულტანტ-გამყიდველები	7747
3322	კომერციული გაყიდვების წარმომადგენელი	1757
5131	მიმტანები	1696
4222	საკონტაქტო ცენტრის კლერკები	1537
9112	ოფისის, სასტუმროებისა და სხვა დაწესებულებების დამლაგებლები და დამხმარეები	1510
		1466
5120	მზარეულები	1291
9333	მტვირთავი	1216
4226	მიმღების ოპერატორები (ზოგადი)	1080
3322	კომერციული გაყიდვების წარმომადგენლები	1068
5414	უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები	853
4323	ტრანსპორტირების კლერკები	838
2512	პროგრამისტები	827
3312	საკრედიტო და სესხის ოფიცრები	781
5414	უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები	764


8332	სატვირთო ავტომობილების მძღოლები	737
3322	კომერციული გაყიდვების წარმომადგენელი	720
5230	მოლარეები და ბილეთების კონტროლიორები	697
2411	ბუღალტრები	695
9412	სამზარეულოს დამხმარეები	695
4223	სატელეფონო კომუტატორის ოპერატორები	671
4211	ბანკის მოლარეები და მონათესავე სფეროთა კლერკები	668
4223	სატელეფონო კომუტატორის ოპერატორები	627
3513	კომპიუტერული ქსელისა და სისტემის ტექნიკოსები	604
3256	სამედიცინო სფეროს დამხმარე პერსონალი	601
4211	ბანკის მოლარეები და მონათესავე სფეროთა კლერკები	595
8322	მსუბუქი ავტომობილების, ტაქსებისა და ფურგონების მძღოლები	571
2431	რეკლამირებისა და მარკეტინგის სპეციალისტები	570
8332	სატვირთო ავტომობილების მძღოლები	566
3322	კომერციული გაყიდვების წარმომადგენელი	557
7512	პურის მცხოვრებლები, კონდიტერები და ტკბილეულის დამამზადებლები	541
4412	კურიერები და ფოსტის დამხმარისებლები	526
3341	ოფისის ზედამხედველები	506
4211	ბანკის მოლარეები და მონათესავე სფეროთა კლერკები	506
3322	კომერციული გაყიდვების წარმომადგენლები	503
3341	ოფისის ზედამხედველები	482
3321	სადაზღვევო წარმომადგენლები	433
5132	ბარმენები	431
2166	გრაფიკული და მულტიმედიის დიზაინერები	423
4226	მიმღების ოპერატორები (ზოგადი)	408
3512	ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მომხმარებლის მხარდაჭერის ტექნიკოსები	406
2431	რეკლამირებისა და მარკეტინგის სპეციალისტები	405
3322	კომერციული გაყიდვების წარმომადგენლები	387
4222	საკონტაქტო ცენტრის კლერკები	384
5152	შინამოსამსახურეები	383
3341	ოფისის ზედამხედველები	377
2411	ბუღალტრები	377
7411	შენობების და მონათესავე სფეროების ელექტრიკოსები	375
2411	ბუღალტრები	368
8183	შესაფუთი, ჩამოსასხმელი და ეტიკეტირების მანქანების ოპერატორები	350
2221	სპეციალისტი ექთნები	322
5230	მოლარეები და ბილეთების გამყიდველ-კონტროლიორები	308
7512	პურის მცხოვრებლები, კონდიტერები და ტკბილეულის დამამზადებლები	302
7319	ხელოსნები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი	296
2353	უცხო ენის მასწავლებლები	294
1212	ადამიანური რესურსების მენეჯერები	292
3322	კომერციული გაყიდვების წარმომადგენლები	290

4221	მოგზაურობის კონსულტანტები და კლერკები	282
7411	შენობების და მონათესავე სფეროების ელექტრიკოსები	279
3312	საკრედიტო და სესხის ოფიცრები	279
2342	სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელები	270
7111	სახლების მსენებლები	268
5152	შინამოსამსახურეები	264
2262	ფარმაცევტები	260
2611	იურისტები	258
8332	სატვირთო ავტომობილების მძღოლები	255
3256	სამედიცინო სფეროს დამხმარე პერსონალი	251
3312	საკრედიტო და სესხის ოფიცრები	250
2431	რეკლამირებისა და მარკეტინგის სპეციალისტები	242
5132	ბარმენები	237
3313	საბუღალტრო სფეროს სპეციალისტები	234
3312	საკრედიტო და სესხის ოფიცრები	229
2330	საშუალო განათლების მასწავლებლები	224
7231	ავტოსატრანსპორტო საშუალებების მექანიკოსები და შემკეთებლები	221
		221
9112	ოფისის, სასტუმროების და სხვა დაწესებულების დამხმარეები	220
2512	პროგრამისტები	203
3323	შემსყიდველები	201
2153	ტელეკომუნიკაციების ინჟინრები	200
3323	შემსყიდველები	200

2019 წელს შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში (WORKNET.GOV.GE) დარეგისტრირებულ სამუშაოს მაძიებელთა და გამოქვეყნებული ვაკანსიების ანალიზი

2019 წელს, შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში - WORKNET.GOV.GE რეგისტრაცია გაიარა 110,328 სამუშაოს მაძიებელმა. სისტემაში სულ დარეგისტრირებულთა რაოდენობამ შეადგინა 343,825 სამუშაოს მაძიებელი. მათგან 304,624 (89%) არის აქტიური სამუშაოს მაძიებელი, რომელთაგან ყველაზე მეტი თბილისსა (17%) და იმერეთზე (14%) მოდის. თითქმის თანაბარზომიერად არიან წარმოდგენილები კახეთისა (11%) და აჭარის (11%), სამეგრელო-ზემო სვანეთისა (10%) და ქვემო ქართლის (10%) რეგიონები.

აქტიური სამუშაოს მაძიებლები რეგიონების მიხედვით² (2019)




2019 წლის მდგომარეობით სისტემაში დარეგისტრირებულ სამუშაოს მაძიებელთა 51% (175,911) კაცია, ხოლო - 49% (167,914) ქალი. რეგისტრირებული სამუშაოს მაძიებლები სხვადასხვა კატეგორიის მიხედვით ნაწილდება შემდეგნაირად: 79,557 - ახალგაზრდა, 216,392 - სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირი, 10,099 - სოციალური პაკეტის მიმღები შშმ პირი, 22,568 - დევნილის სტატუსის მქონე პირი.

ამავე პერიოდში სისტემაში რეგისტრირებულ აქტიურ სამუშაოს მაძიებლებიდან ყველაზე ფართოდ არიან წარმოდგენილები საშუალო სკოლა დასრულებული (58%)

² იურიდიული მისამართის მიხედვით

და დაუსრულებელი (12%) პირები. რეგისტრირებულთა შორის თითქმის ტოლია საშუალო, ტექნიკური/პროფესიული (10%) და ბაკალავრიატის (10%) განათლების მქონე პირების ხვედრითი წილი. აღნიშნული მეტყველებს იმაზე, დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დასაქმების ხელშეწყობით ძირითადად სარგებლობენ დაბალი კვალიფიკაციის მქონე სამუშაოს მაძიებლები.


აქტიური სამუშაოს მაძიებლები განათლების მიღწეული დონეების მიხედვით (2019)




2019 წელს სისტემაში 915 დამსაქმებლის მიერ წარმოდგენილი იქნა 10,403 ვაკანტური სამუშაო ადგილი, რაც წინა წელთან შედარებით 16%-ით არის გაზრდილი. ყველაზე მეტი ვაკანსია ვაჭრობის (29%, 2969 ვაკანსია), სხვა სახის მომსახურების (15%, 1509 ვაკანსია), ტურიზმის (13%, 1320%), დამამუშავებელი მრეწველობისა (9%, 946 ვაკანსია) და საფინანსო (8%, 859 ვაკანსია) სექტორებზე მოდის. თითქმის თანაბარზომიერია ვაკანსიების რაოდენობა მშენებლობის (4% 466 ვაკანსია), ჯანდაცვისა (4%, 426 ვაკანსია) და პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობებისათვის (4%, 403 ვაკანსია). სხვა დანარჩენ სექტორებში ვაკანსიების

რაოდენობამ ჯამში 672 ვაკანსია შეადგინა, ხოლო თითოეულის ხვედრითი წილი არ აღემატება 1%-ს.

კომპანიების მიერ წარმოდგენილი ვაკანსიები და პროცენტული ზრდა




კომპანიების მიერ განთავსებული ვაკანსიები ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების მიხედვით (2019)



2019 წელს წინა წელთან შედარებით სისტემაში დამსაქმებულების მიერ წარმოდგენილი ვაკანსიები საგრძნობლად გაიზარდა ვაჭრობის (21%, 513 ვაკანსია), ტურიზმის (46%, 414 ვაკანსია), სხვა მომსახურების (26%, 309 ვაკანსია), ინფორმაცია და კომუნიკაციის (108%, 159 ვაკანსია), მშენებლობისა (45%, 145 ვაკანსია) და

საფინანსო (18%, 132 ვაკანსია) სექტორებში. წინა წელთან შედარებით ვაკანსიები შემცირდა დამამუშავებელი მრეწველობის (24%, 291 ვაკანსია), პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობების (31%, 179 ვაკანსია), სამთომომპოვებითი მრეწველობისა (65%, 84 ვაკანსია) და ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობების (26%, 40 ვაკანსია) სექტორებში.

კომპანიების მიერ განთავსებული ვაკანსიები ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით




2019 წელს სისტემაში დამსაქმებლის მიერ წარმოდგენილ ვაკანსიებს შორის ჭარბობდა მომსახურების სფეროსა და სავაჭრო დაწესებულებების მომსახურე პერსონალსა (50%, 5205 ვაკანსია) და ტექნიკოსებზე (23%, 2395 ვაკანსია) მოთხოვნა. მომსახურებისა და ვაჭრობის სფეროს პერსონალზე ვაკანსიების სიმრავლე კიდევ უფრო ცხადყოფს შრომის ბაზარზე დასაქმების მხრივ ვაჭრობისა და მომსახურების სფეროს როლზე, რომელიც თავის მხრივ ხასიათდება სამუშაო ძალის ხშირი გადინებითა და დაბალპროდუქტიულობით. სისტემაში წარმოდგენილი ვაკანსიების მიხედვით მოთხოვნადია მარტივი საქმიანობებით დაკავებული პირები (9%, 913 ვაკანსია) და

სპეციალისტები (7%, 780 ვაკანსია). სისტემაში შემოსულ ვაკანსიებზე საკვალიფიკაციო მოთხოვნა ძირითადად ითვალისწინებს საშუალო და პროფესიულ განათლებას, რადგან თითქმის 30%-ია ვაკანსიებში მენეჯერების, სპეციალისტებისა და ტექნიკოსების ხვედრითი წილი.

2019 წელს წინა წელთან შედარებით სისტემაში დამსაქმებულების მიერ წარმოდგენილი ვაკანსიები საგრძნობლად გაიზარდა სპეციალისტების (148%, 466 ვაკანსია), ოფისის პერსონალისა (92%, 195 ვაკანსია) და სამრეწველო დანადგარების/მანქანების ოპერატორების (61%, 121 ვაკანსია) ძირითად ჯგუფში. ვაკანსიების შემცირება კი დაფიქსირდა მენეჯერების (-90%, - 27 ვაკანსია) პროფესიულ ჯგუფში.

თუ შევადარებთ Worknet-ზე წარმოდგენილ და HR.GE-ზე გამოქვეყნებულ ვაკანსიებს ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით, დავინახავთ მსგავსებას მცირედი განსხვავებით. ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით ორივეგან ვაკანსიების სიმრავლით გამოირჩევა მომსახურება-ვაჭრობის სფეროს პერსონალი და ტექნიკოსები. ძირითადი განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ HR.GE-ზე გამოქვეყნებულ ვაკანსიებში მაღალია სპეციალისტებისა და მენეჯერების ხვედრითი წილი, რაც მეტყველებს HR.GE-ის სასარგებლოდ მაღალი საკვალიფიკაციო მოთხოვნის მქონე ვაკანსიების სიმრავლეზე.

Worknet წარმოდგენილი და HR.GE გამოქვეყნებული ვაკანსიების ხვედრითი წილი



■ Worknet წარმოდგენილი ვაკანსიების ხვედრითი წილი ■ HR.GE გამოქვეყნებული ვაკანსიების ხვედრითი წილი

ამრიგად, სსიპ „დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს“ 2019 წლის მონაცემების მიხედვით:

- 2019 წლის მდგომარეობით შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში (WORKNET.GOV.GE) რეგისტრირებულ სამუშაოს მაძიებელთა რაოდენობა იყო 343,825, მათგან 304,624 იყო აქტიური (89%). სისტემაში რეგისტრირებული სამუშაოს მაძიებლების რიცხვი აღემატება 2019 წლის მდგომარეობით ქვეყანაში უმუშევრობის მაჩვენებელს (221 ათასი);
- სისტემაში რეგისტრირებულ აქტიურ სამუშაოს მაძიებლებიდან ყველაზე ფართოდ არიან წარმოდგენილები საშუალო სკოლა დასრულებული (58%) და დაუსრულებელი (12%) პირები;
- სისტემაში ვაკანსიების მიწოდება ყოველწლიურად ხასიათდება მზარდი ტენდენციით ხასიათდება;
- ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების მიხედვით ვაკანსიების უმრავლესობა საბითუმო და საცალო ვაჭრობაზე მოდის (29%) და მაღალია მოთხოვნა მომსახურების სფეროსა და სავაჭრო დაწესებულებების მომსახურე პირებზე (50%).


შრომის ბაზრის საკითხებზე ჩატარებული კვლევების მიმოხილვა

შრომის ბაზრის საკითხებთან დაკავშირებული კვლევები იძლევა ინფორმაციას ქვეყანაში დასაქმების სტრუქტურასა და არსებულ ვაკანსიებზე. ასევე არსებული სამუშაო ძალის შეფასებასა და შრომის ბაზარზე სასურველი კადრების აყვანასთან დაკავშირებულ პრობლემებზე.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ ჩატარებულმა კვლევამ - „უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევა - 2020“ - აჩვენა, რომ 2019 წლის 1 სექტემბრამდე პერიოდში, წლის განმავლობაში, საწარმოთა 13.7%-ს (7,276 საწარმოს) ჰქონდა 58,911 ვაკანსია, რომელთა უმრავლესობა თბილისში იყო (72.2%) წარმოდგენილი.


ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების მიხედვით, არსებული ვაკანსიების უმრავლესობა განეკუთვნებოდა საბითუმო და საცალო ვაჭრობას - 34.7% (20,423 ვაკანსია). ვაკანსიების სიმრავლით გამოირჩევა ასევე სასტუმროები და რესტორნები - 10.9% (6,392 ვაკანსია), მშენებლობა - 8.5% (4,979 ვაკანსია) და დამამუშავებელი მრეწველობა - 8% (4,679 ვაკანსია).

არსებული ვაკანსიები ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების მიხედვით



ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით, არსებული ვაკანსიების უმრავლესობა განეკუთვნება მომსახურების სფეროსა და სავაჭრო დაწესებულებების პერსონალს (13,918 ვაკანსია; 23.9%). დანარჩენი ვაკანსიები ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით კი შემდეგნაირად განაწილდა: 15.7% (9,265 ვაკანსია) - სპეციალისტები, 13.1% (7,709 ვაკანსია) - დამწყები კვალიფიკაციის მქონე მუშაკები, 12.5% (7,353 ვაკანსია) - მენეჯერები, 9.4% (5,513 ვაკანსია) - ხელოსნები და მონათესავე პროფესიების მუშაკები, 8.9% (5,221 ვაკანსია) - სამრეწველო დანადგარებისა და მანქანების ოპერატორები და ამწყობები, 8.4% (4,962 ვაკანსია) - ტექნიკოსები და დამხმარე სპეციალისტები, 8.3% (4,876 ვაკანსია) - ოფისის პერსონალი, 0.2% (94 ვაკანსია) - სოფლის მეურნეობის დარგის კვალიფიციური მუშაკები.

არსებული ვაკანსიები ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით



კვლევაში, ისევე როგორც დასაქმების სახელმწიფო (Worknet) და კერძო (HR.GE) სააგენტოს მონაცემებმა ცხადყო, რომ ვაკანსიების უმრავლესობა ვაჭრობისა და მომსახურების სექტორის პერსონალზე მოდის.

კვლევის მიხედვით ვაკანსიების შევსებასთან დაკავშირებული სირთულეებიდან ძირითადად აპლიკანტთა არასაკმარისი კვალიფიკაცია დასახელდა (პასუხების 28.7%). ამასთან ანგარიშგასაწევია ისეთი ფაქტორები, როგორიც არის აპლიკანტთა ნაკლებობა

(19.3%), აპლიკანტთა არასაკმარისი გამოცდილება (18.6%), აპლიკანტების მხრიდან მაღალი ხელფასის მოლოდინი (18.5%) და დაწუნებული შეთავაზებული სამუშაო გარემო (5.4%).

ვაკანსიების შევსებასთან დაკავშირებულ საკითხს ისიც ერთვის, რომ საწარმოების უმრავლესობა (51%) პირადი კონტაქტებით ცდილობს სასურველი კადრების მოძიებას, რაც მეტყველებს შრომის ბაზრის არაორგანიზებულობაზე. საყურადღებოა იმ საწარმოების წილი, რომლებიც კადრების მოსაძიებლად იყენებენ ინტერნეტს (30,8%), ასევე ბეჭდურ განცხადებასა (10%) და დასაქმების კერძო სააგენტოებს (7,7%). საკმაოდ მოკრძალებულია დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს ვებ-გვერდის (Worknet) ხვედრითი წილი (0,3%) კადრების მოძიების კუთხით.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს „2018 წლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევა“³ სხვა რიგ საკითხებთან ერთად გამოავლინა მიგნებები კურსდამთავრებულთა დასაქმების სტრუქტურაზე, დასაქმების მხრივ პრიორიტეტულ სასწავლო მიმართულებებზე, კონტრაქტის ფორმებზე, ანაზღაურებასა და სამუშაო პირობებით კმაყოფილებაზე.

კვლევის მიხედვით კურსდამთავრებულთა ნახევარზე მეტი (52%) ეწეოდა დაქირავებულ შრომას, 11% იყო თვითდასაქმებული, ხოლო 31% - უმუშევარი. დანარჩენმა (12%) გააგრძელა სწავლა ან გადიოდა სტაჟირებას. აღსანიშნავია, რომ 2016 წლიდან დასაქმების მთლიანი მაჩვენებელი მზარდი ტენდენციით ხასიათდება. კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა შემდეგი მიმართულებები: ინჟინერია, აგრარული მეცნიერებები და ბიზნეს ადმინისტრირება.

დაქირავებით დასაქმებულთა თითქმის ნახევარი (47%) აღნიშნავს, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული სპეციალობა დაკავშირებულია მათ ამჟამინდელ საქმიანობასთან, 20% - ნაწილობრივ კავშირშია, ხოლო 34% - არანაირი კავშირი არ არსებობს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებულ სპეციალობასა და მიმდინარე საქმიანობას შორის.

თითქმის ანალოგიური სურათია თვითდასაქმებულთა შემთხვევაში. თვითდასაქმებულთა უმრავლესობაც (44%) საქმიანობს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული სპეციალობის შესაბამისად, 24% - ნაწილობრივ კავშირშია, ხოლო 32% - არანაირი კავშირი არ არსებობს პროფესიულ

³ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო (2019), „2018 წლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევის ანგარიში (Tracer Study)“, [http://www.mes.gov.ge/mesgifs/1584366255_2018-\(Tracer%20Study\).pdf](http://www.mes.gov.ge/mesgifs/1584366255_2018-(Tracer%20Study).pdf)

საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებულ სპეციალობასა და მიმდინარე საქმიანობას შორის.

დაქირავებით დასაქმებულ კურსდამთავრებულთა ნახევარზე მეტმა (57%) სამსახურის დაწყება დამოუკიდებლად შეძლო. ბევრი დასაქმდა ნაცნობ-მეგობარის, ნათესავის ან ოჯახის წევრის დახმარებით (40%). ასევე კოლეჯის დახმარებით (15%) და სამუშაო პრაქტიკის ადგილას (15%).

დაქირავებით დასაქმებულთაგან 24% მუშაობს ხელშეკრულების გარეშე. მათ ვისაც აქვთ გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება, უმრავლეს შემთხვევაში სარგებლობენ ერთწლამდე (30%) და უვადო (25%) შრომითი ხელშეკრულებით.

დასაქმებულ კურსდამთავრებულთა ხელფასი შემდეგნაირად განაწილდა: 3% - 200 ლარზე ნაკლები, 41% - 200-500 ლარი, 28% - 501-800 ლარი, 22% - 801 ლარზე მეტი. დაქირავებით დასაქმებულ კურსდამთავრებულთა საშუალო ხელფასმა 686 ლარი შეადგინა, რაც ჩამორჩება თვითდასაქმებულთა საშუალო ხელფასს (1345 ლარი).

დაქირავებით დასაქმებულთა უმრავლესობა (55%) თვლის, რომ მათი კვალიფიკაცია შეესაბამება სამუშაო მოთხოვნებს, 27% - კვალიფიკაცია უფრო მაღალია ვიდრე სამუშაო მოთხოვნები, 4% - არასაკმარისად მიიჩნევს კვალიფიკაციას, ხოლო 15% - მათი კვალიფიკაცია არ არის დაკავშირებული სამუშაოსთან.

კურსდამთავრებულთა უმრავლესობა (61%) კმაყოფილია მიმდინარე სამუშაოთი, 32% არის ნაწილობრივ კმაყოფილი, ხოლო 7% - უკმაყოფილო.

ამრიგად, შრომის ბაზრის საკითხებზე ქვეყანაში განხორციელებულმა კვლევებმა გვიჩვენა, რომ:

- ვაკანსიების უმრავლესობა საბითუმო და საცალო ვაჭრობაზე (34.7%) მოდის და დიდია მოთხოვნა მომსახურების სფეროსა და სავაჭრო დაწესებულებების პერსონალზე (24%). აღნიშნული თანხვედრაშია დასაქმების სახელმწიფო (WORKNET.GOV.GE) და კერძო (HR.GE) სააგენტოებში შემოსული ვაკანსიების ანალიზის შედეგებთან;
- ვაკანსიების შევსებასთან დაკავშირებულ ძირითად სირთულეს აპლიკანტთა არასაკმარისი კვალიფიკაცია წარმოადგენს;
- საწარმოების უმრავლესობა (51%) პირადი კონტაქტებით ცდილობს სასურველი კადრების მოძიებას. ასევე, პირად კონტაქტებს უკავშირდება პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულთა მიერ სამსახურის დაწყება;
- ყოველწლიურად მზარდია პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი და დადებითი ტენდენციაა,

რომ დაქირავებით დასაქმებულთა თითქმის ნახევარი (47%) მუშაობს სპეციალობის შესაბამისად;

- უმრავლეს შემთხვევაში (41%) დაქირავებით დასაქმებული პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულთა ხელფასი მერყეობს 200-დან 500 ლარამდე, რაც საგრძნობლად ჩამორჩება 2019 წლის მდგომარეობით ქვეყანაში საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის მაჩვენებელს (1,129.5 ლარი);
- დაქირავებით დასაქმებული პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულთა უმრავლესობა თვლის, რომ მათი კვალიფიკაცია შეესაბამება ან აღემატება სამუშაო მოთხოვნებს.

დასკვნა

წინამდებარე ანგარიშში, ერთი მხრივ, საქართველოს ეკონომიკაში არსებული მდგომარეობის და მომავლის ტენდენციების შეფასებით (რაც მათ შორის, მოიცავს სწრაფად მზარდი დარგების ანალიზს, ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში დაგეგმილი კაპიტალური ხარჯების, საინვესტიციო პროექტების განხორციელებისა და ასევე ახალი საკანონმდებლო რეგულაციების შემოღების შედეგად სამუშაო ძალაზე მოთხოვნის შესაძლო ზრდის ანალიზს), ხოლო მეორე მხრივ, სამუშაო ძალის არსებული სტრუქტურისა და ტენდენციების გათვალისწინებით, შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგი დასკვნა:

- 2019 წელს შრომის ბაზრის სტატისტიკის მიმართულებით შენარჩუნდა პოზიტიური ტენდენციები. კერძოდ, ქვეყანაში შემცირდა უმუშევრობის დონე და ბიზნეს სექტორში გაიზარდა დასაქმების მაჩვენებელი. ბიზნეს სექტორში დასაქმების ზრდის პარალელურად, თითქმის ყველა სექტორში მზარდი იყო შრომის ნაყოფიერება;
- ქვეყანაში შრომის ბაზრის წინაშე არსებული გამოწვევებიდან მნიშვნელოვანია: უმუშევრობის მაღალი დონე (განსაკუთრებით ახალგაზრდებში), სოფლად დასაქმების მაღალი მაჩვენებელი და სამუშაო ძალის დაბალპროდუქტიულობა. მიუხედავად იმისა, რომ დაქირავებით დასაქმებულთა წილი ბოლო ორი წელია აღემატება თვითდასაქმებულების წილს, ეს უკანასკნელი მაინც მაღალია, რაც მნიშვნელოვანი გამოწვევაა განსაკუთრებით დაბალი პროდუქტიულობის ფონზე;
- კაპიტალის ბაზრის რეფორმა თავის მხრივ გაზრდის შრომის ბაზარზე შესაბამისი პროფილის მაღალკვალიფიციურ კადრებზე მოთხოვნას;
- დასაქმებულთა შრომის უსაფრთხოების მიმართულებით ევროკავშირის რეგულაციებთან დაახლოების თაობაზე აღებული ვალდებულების შესრულების მიზნით, მთავრობის მიერ განსაზღვრული პოლიტიკის

განხორციელება, რაც ითვალისწინებს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აყვანის ეკონომიკური საქმიანობის ყველა დარგზე გავრცელების ვალდებულებას, თავის მხრივ გამოიწვევს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტებზე მოთხოვნის გაზრდას;

- განახლებადი ენერგიის ათვისების და ენერგოეფექტურობის კუთხით ახალი საკანონმდებლო რეგულაციების შემოღების შესაბამისად ერთიდან ორ წლამდე პერიოდში გაჩნდება მოთხოვნა შესაბამის პერსონალზე;
- ქვეყნის სატრანსპორტო შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით ტრანსპორტისა და ლოგისტიკის სექტორის განვითარების მიმართულებით. დაგეგმილი რიგი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება (როგორც საჯარო, ისე კერძო ინვესტიციებით) ხელს შეუწყობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას აღნიშნულ სექტორში. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ქუთაისის და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტების გაფართოების მიმდინარე სამუშაოები მომავალში მზარდი მგზავრთნაკადების მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით;
- დაგეგმილი პროექტების შესაბამისად მაღალკვალიფიციური კადრების საჭიროება გაჩნდება ეკონომიკის რეალურ სექტორში. კერძოდ, ენერგეტიკის, დამამუშავებელ მრეწველობისა და ინფრასტრუქტურის მიმართულებით, რაც გაზრდის კვალიფიციურ სამუშაო ძალაზე მოთხოვნას;
- საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული და დაგეგმილი აქტივობების მიხედვით განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ადგილობრივი წარმოების განვითარებას. სსიპ „აწარმოე საქართველოში“-ს ფარგლებში ამოქმედდა საკრედიტო საგარანტიო მექანიზმი, რომელიც სწორედ ადგილობრივი წარმოების განვითარებაზე აქცენტირდება, რაც თავის მხრივ ახალი სამუშაო ადგილების შექმნას უზრუნველყოფს. რაც შეეხება სოფლის მეურნეობას, ამ დარგში დასაქმების მაღალი მაჩვენებლის მიუხედავად დარგის პროდუქტიულობა ძალიან დაბალია და შედეგად მცირეა დარგის წილი მთლიან შიდა პროდუქტში. სოფლის მეურნეობისათვის უმთავრეს საკითხს წარმოადგენს მაღალი ტექნოლოგიების დანერგვა, რამაც შესაძლოა ერთი მხრივ გამოიწვიოს კადრების გადადინება სხვა სექტორებში, ხოლო მეორე მხრივ განაპირობოს მაღალკვალიფიციურ კადრებზე მოთხოვნა. ამასთანავე, საყურადღებოა რომ, მთავრობის გეგმის მიხედვით იზრდება აქტივობები სოფლის მეურნეობის სექტორშიც. სახელმწიფო ადგილობრივ ფერმერებს სხვადასხვა ტიპის გრანტებთან ერთად, სთავაზობს საბანკო სერვისებში თანამონაწილეობას, დახმარებას საერთაშორისო სტანდარტების დანერგვაში და სხვა ხელშეწყობებს. ასევე, იგეგმება 1.2 მილიონი ჰექტარი მიწის სისტემური რეგისტრაცია. ყოველივე აღნიშნული აჩენს მოლოდინს რომ სოფლის მეურნეობის სექტორში გაიზრდება მოთხოვნა კვალიფიციურ სამუშაო ძალაზე და შესაბამისად გაიზრდება დაქირავებით დასაქმებულთა წილიც;

- მსოფლიო მასშტაბით Covid 19-ის გამო, ელექტრო და ელექტრონული პროდუქტები და მათი ნაწილები (საყოფაცხოვრებო და სამედიცინო ტექნიკა და მათი ნაწილები, ნახევარგამტარები, ტელეფონის, კომპიუტერის და სხვა მსგავსი პროდუქციის ნაწილები) მზარდი სექტორია. დასავლური კომპანიების ნაწილი, რომლებსაც ჩინეთში გააჩნდა საწარმოები, დივერსიფიცირების მიზნით ახალ ქვეყნებს ეძებენ ე.წ. “Strategy China +1”-ის ფარგლებში. საქართველოში სექტორმა ახლახანს დაიწყო განვითარება და მხოლოდ რამდენიმე საწარმო არსებობს, თუმცა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიმართულებით აღნიშნული პრიორიტეტული სექტორია. აღნიშნული მიმართულებით ქვეყანაში დასავლური კომპანიების შემოსვლა განაპირობებს სამუშაო ადგილების შექმნას და მოთხოვნას შესაბამის სამუშაო ძალაზე;

რეკომენდაციები

- დასაქმებისა და უმუშევრობის დონეების კვალიფიკაციების მიხედვით გადანაწილებისთვის შესაბამისი სტატისტიკის უზრუნველყოფა;
- დასაქმების ეფექტიანი ხელშეწყობის უზრუნველყოფის მიზნით, არსებული დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამების შესახებ საზოგადოების, მათ შორის კერძო სექტორის, ცნობიერების ამაღლება;
- კერძო სექტორისა და პროფესიული სასწავლებლების თანამშრომლობის შემდგომი წახალისება სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებაზე გადასვლის არსებული მასშტაბების გაზრდის მიზნით. ასევე, კერძო სექტორის ჩართულობის ამაღლება პროფესიული განათლების სასწავლო პროგრამების შემუშავების პროცესში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად;
- დასაქმების კერძო სააგენტოების ცნობიერების და ცოდნის ამაღლების ხელშეწყობა მათ მიერ წარმოებული ე. წ. „Big Data“-ს პროფესიული ჯგუფების საერთაშორისო სტანდარტთან (ISCO 2008) შესაბამისობაში წარმოების და ასევე, „უნიკალური“ ვაკანსიების სტატისტიკის წარმოების შესაძლებლობის უზრუნველყოფის მიზნით.